ლია სულაქველიძე

მუსიკა

მოსწავლის წიგნი
VIII კლასი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2020 წელს

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

მუსიკა
მოსწავლის წიგნი
VIII კლასი
ავტორი – ლია სულაქველიძე

წიგნზე მუშაობდნენ:
მუსიკალური კონსულტანტები:
მარინა ქავთარაძე – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პროფესორი;
ნინო ღარიბაშვილი – თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ნიჭიერთა ათწლედის თეორიული განყოფილების გამგე;
დალი დოლიძე – თბილისის №55-ე და 126-ე საჯარო სკოლების მუსიკის წამყვანი მასწავლებელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი;
მანანა ბალიაშვილი – ლიტერატურული რედაქტორი;
ნინო აფციაური – ყდების დიზაინერი.

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2020;
© ლია სულაქველიძე, 2020.

გამოცემის წელი და რიგითობა 2020.

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5
ტელ: 568 10 54 67; 574 40 08 57
ელ. ფოსტა: saqmatsne@mail.ru, sakmacne@gmail.com
www.saqmatsne.ge

ISBN 978-9941-16-731-7

სარჩევი

თავი I. მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში
თემა: ხილული და უხილავი მუსიკაში
სიტყვა და ინტონაცია დეკლამაციაში ხილულისა და უხილავის გადმოცემაში
1-3. დეკლამირების საწყისებთან 8
4-6. რიტმული დეკლამაცია 12
7-9. **მელოდეკლამაცია, როგორც მუსიკის ერთ-ერთი გამომსახველობითი ხერხი ხილულისა და უხილავის გადმოცემაში** 18
რეჩიტატივი, როგორც ხილულისა და უხილავის გამომსახველი ხერხი
10-11. კ. დებიუსი, ოპერა „პელეასი და მელიზანდა“ 24
12-13. დეკლამაციის დიდოსტატები 30
14. დეკლამაციის ნაირსახეობა რეპერების მუსიკაში 34
15-16. შემაჯამებელი გაკვეთილი 36
დეკლამაციის ნაირსახეობები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში მსხვილ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ფორმებში
17-20. ა. ონეგერი – ორატორია „ჟანა დ’არკი კოცონზე“ 38
დეკლამაციის ნაირსახეობები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში სხვა ვოკალურ ჟანრებში
21-23. ა. შონბერგი – ვოკალური ციკლი „მთვარის პიერო“ 52
სიტყვა ინსტრუმენტულ მუსიკაში, როგორც ხილულის გადმოცემის საშუალება
24-25. პროგრამული მუსიკა 60
26-27. შემაჯამებელი გაკვეთილი 67
თავი II. მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში
თემა: თაობები და მუსიკა 68
28-29. **თაობებს შორის არსებული განსხვავების გადმოცემა ძველ და ახალ აკადემიურ მუსიკაში** 70
30-31. პოპულარული მუსიკა 76
32-33. პოპულარული მუსიკა (გაგრძელება) 82
34-36. **პოპულარული მუსიკა, როგორც თაობებში არსებული განწყობების ამსახველი ჟანრი** 88
37. **პოპმუსიკის ზოგიერთი მიმდინარეობის მახასიათებლები და სხვადასხვა თაობის განმასხვავებელი თვისებები** 98
38-39. გაკვეთილი 100
40-42. პოპმუსიკის ზეგავლენა თანამედროვე აკადემიურ მუსიკაზე 104
43-44. ქართული პოპულარული მუსიკა გუშინ და დღეს 112
45. შემაჯამებელი გაკვეთილი 116
თავი III. მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში
თემა: მარტოობა და ერთობა მუსიკაში 118
46-48. **მარტოობის ფორმები და მუსიკის გამომსახველობითი ხერხები** 120
49-51. **მუსიკაში ერთიანობის გამომხატველი გამომსახველობითი ხერხები** 130
52-53. შემაჯამებელი გაკვეთილი 144
გამოყენებულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი 146

სახელმძღვანელოში გამოყენებული გზამკვლევი სიმბოლოები

მოისმინეთ

უპასუხეთ კითხვებს

იმუშავეთ წყვილებში

იმუშავეთ LMSS პროგრამაში

მოიძიეთ ინფორმაცია

ნახეთ ვიდეოკადრები

აქტივობები

თავი I

მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში

თემა: ხილული და უხილავი მუსიკაში

„ხილული და უხილავი მუსიკაში“ – რა ხილული სახეების წარმოდგენა შეგვიძლია მუსიკის მოსმენის დროს და როგორ ვისწავლოთ მათი „დანახვა“? ამისთვის მხოლოდ ჩვენი ფანტაზია და წარმოსახვითი უნარ-ჩვევები საკმარისი არაა. ხშირ შემთხვევაში მუსიკა თავად გვკარნახობს ვიზუალურ სახე-ხატს. საჭიროა ვისწავლოთ ამ თავისებური ენის გაგება. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში კომპოზიტორები მუსიკაში ხილული სახეების წარმოსაჩენად სიტყვასაც იშველიებენ. მუსიკაში გამოყენებული სიტყვა, რომელსაც კონკრეტული შინაარსი გააჩნია, გვეხმარება დავინახოთ ის, რაც მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ მუსიკის მოსმენისას. თავის მხრივ, მუსიკაც გვეხმარება სიტყვაში არსებული შინაგანი, უხილავი მუხტის შეგრძნებაში. ჩვენ შემთხვევით არ გამოვიყენეთ სიტყვა „შეგრძნება“ – უხილავის ხომ მხოლოდ შეგრძნება შეიძლება. მუსიკის ენაც, უპირველეს ყოვლისა, შეგრძნებების, ემოციების გამომწვევი ენაა. თუკი ამ ენის გაგებას ვისწავლით, მაშინ ჩვენ წინაშე გაიხსნება უკიდეგანო ხილული და უხილავი სამყარო!

მაშ, დავიწყოთ!

ამ თავში შეისწავლი:

- ხილულისა და უხილავის ამოცნობას სხვადასხვა ჟანრის მუსიკალურ ნაწარმოებებში
- დეკლამირების ხელოვნებას და მის სახეებს
- კომპოზიციების შექმნას ისტ-ის გამოყენებით

მოსწავლის წიგნში მუშაობა რომ გაგიადვილდეთ, გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევები:

წაკითხვამდე

მიზნის დასახვა

* რატომ უნდა შეისწავლო თემა.

გაეცანი

* გაკვეთილების სათაურებსა და საკვანძო სიტყვებს, რათა გაიგო, რას ისწავლი; დაათვალიერე ილუსტრაციები;
* ყურადღებით მოისმინე შემოთავაზებული მუსიკა, რათა დამოუკიდებლად შეძლო საუბარი მის ირგვლივ.

შეამოწმე შენი წინარე ცოდნა

* რა იცი ამ საკითხზე;
* თუ ვერ გაიხსენებ უკვე ნასწავლ მუსიკალურ ტერმინს, დაფიქრდი კონ-ტექსტზე, სადაც ეს სიტყვაა გამოყენებული.

გაკვეთილის ბოლოს

შეაჯამე

* სრულად აღწერე თუ არა თემის მთავარი იდეა და როგორ დაგეხმარა დეტალები მის გაგებაში;
* დამოუკიდებლად გადმოეცი შენი შთაბეჭდილება;
* ისაუბრე მოსმენილი მუსიკის შესახებ და სწორად გამოიყენე ტერმინები.

შეაფასე

* მუსიკაში შესაძლებელია ხილულისა და უხილავის გადმოცემა;
* ხილულისა და უხილავის წარმოჩენა მუსიკაში გამოყენებული რიტმული და ჰარმონიული ხერხებით შეიძლება.

შეამოწმე შენი თავი

* რა გაიგე ახალი წინარე ცოდნისგან განსხვავებით;
* როგორ შეძლებ ახლად ნასწავლის გამოყენებას.

გაკვეთილი 1-3

სიტყვა და ინტონაცია დეკლამაციაში ხილულისა და უხილავის გადმოცემაში

დეკლამირების საწყისებთან

საკვანძო სიტყვები

ანტიკური ხელოვნება;
ორატორი;
ინტონაცია;
ხილული და უხილავი;
მხატვრული დეკლამაცია.

არსებობს ორი სამყარო – ხილული და უხილავი. ხილული სამყარო არის ის, რასაც ვხედავთ ზოგადად და რასაც ფიზიკურადაც ვეხებით. როგორ შევიგრძნოთ უხილავი სამყარო? უხილავია ის, რაც შეგრძნებასა და წარმოსახვასთან ასოცირდება: სუნი, სიცხე, სიცივე, ხმები... ანუ ყველაფერი ის, რასაც განვიცდით, რის წარმოდგენასაც გვიქმნის თვალით დანახული საგანი.

ხელოვნების ნაწარმოებს თავისი ენა აქვს და ამ ენით უნდა წავიკითხოთ, ამოვიცნოთ მისი დედააზრი. რა დარგის ნიმუშთანაც არ უნდა გვქონდეს შეხება – იქნება ეს მხატვრობა, თეატრი, ლიტერატურული ნაწარმოები თუ მუსიკა – აღქმის პროცესი ინდივიდუალურია. ერთი და იმავე ნაწარმოების გაცნობისას სხვადასხვა ადამიანს შეიძლება სრულიად განსხვავებული აზრი და შეგრძნებები გაუჩნდეს. ამ დროს ადამიანი მთელი თავისი არსებითაა მასში ჩართული – ინტუიციით, წარმოსახვით, გრძნობით, გონებით. ხელოვნების ნაწარმოები გვაძლევს იმის პირველწყაროს, რომ ავამუშაოთ ფანტაზია, აზრობრივად წარმოვიდგინოთ, ვივარაუდოთ, რა იგულისხმება ნანახისა თუ მოსმენილის მიღმა და ამოვიცნოთ, რა გამომსახველობითი ხერხებით აქვს ავტორს გადმოცემული თავისი ჩანაფიქრი.

მუსიკაში ხილულისა და უხილავის განხილვა დავაფუძნეთ სიტყვისა და მუსიკის მოსმენით გამოწვეულ განწყობებსა და წარმოდგენებზე: სიტყვა – როგორც ხილულისა და მუსიკა – როგორც უხილავი სამყაროს არსი.

1 უძველესი დროიდან თეატრალურ თუ მუსიკალურ ხელოვნებაში განუყოფელი იყო სიტყვა, სიმღერა და ცეკვა. ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, არცერთი სახალხო წარმოდგენა მუსიკის გარეშე არ იმართებოდა.

ცნება **„ანტიკური ხელოვნება“** (ლათ. antiquus – „ძველი“) პირველად XV საუკუნეში იტალიაში წარმოიქმნა მაშინ, როდესაც შუა საუკუნეებში დამკვიდრებულ ათასწლოვან საეკლესიო ტრადიციებს შეენაცვლა ახალი ხელოვნება, რომელიც ძველი საბერძნეთისა და რომის ხელოვნებას დაეფუძნა.

მოგვიანებით ეს ტერმინი მთელმა ევროპამ გაითავისა. ანტიკური ცივლიზაციის ქრონოლოგიური ჩარჩოებია – ძვ,.წ. VIII – ჩვ. წ. V საუკუნის შუა წლები. ეს თორმეტ საუკუნეზე მეტია.

აუდიოჩანაწერით მოისმინეთ ანტიკური პერიოდის ხალხთა მეტყველება. როგორც შეამჩნევდით, სხვადასხვა ადამიანი ხმის სხვადასხვა ინტონაციით კითხულობს ტექსტს – დეკლამირებს.

დაიმახსოვრე!

დეკლამაცია (ლათ. declamatio) – მხატვრული კითხვა; ლიტერატურული ნაწარმოების გამოთქმით, მხატვრულად კითხვა; „ვარჯიში მჭევრმეტყველებაში“.

- მოსმენილის მიხედვით ისაუბრეთ თითოეული მონაკვეთის შესახებ;
- რის მიხედვით შეგვიძლია ამოვიცნოთ ის მხატვრული ხერხები, რომლებითაც მიიღწევა ხილული და უხილავი დეკლამირებისას: ხმის ტემბრით, კითხვის ტემპის ცვალებადობით, ინტონაციით, განწყობით, რასაც მოსმენილი გიტოვებთ თუ კიდევ სხვა ნიშნით?

ქვემოთ მოცემული ფრაზებიდან, რომელი ეკუთვნის ხილულს და რომელი – უხილავს:

რას მიამბობს ტექსტის შინაარსი	რა გრძნობა დამეუფლა მოსმენისას

2 ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, **დეკლამაცია** ორატორული ხელოვნების უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს.

ძველ რომში საზოგადოების წინაშე გამოსვლის (Art Oratoria) ხელოვნება პროფესიულ კომპეტენციას წარმოადგენდა, განსაკუთრებით, პოლიტიკოსებისა და იურისტებისათვის.

რომის თავკაცები თავიანთ შვილებს საბერძნეთში აგზავნიდნენ ორატორული ხელოვნების დასაუფლებლად (მათგან ერთ-ერთი იულიუს კეისარიც ყოფილა).

„არაფერია ისეთი დაუჯერებელი, რასაც ორატორი ვერ გახდის მისაღებს“.

ციცერონი – ადვოკატი და პოლიტიკური მოაზროვნე, ძველი რომის ყველაზე სახელგანთქმული ორატორი

ციცერონი
106-43 ძვ. წ.

შეამოწმეთ საკუთარი ორატორული ნიჭი; წარმოიდგინეთ საკუთარი თავი ციცერონის ადგილზე, მასწავლებლის რჩევების გათვალისწინებით წაიკითხეთ მისი ერთ-ერთი ნააზრევი გამოთქმით, ტექსტის შესაბამისი ინტონაციით, შეარჩიეთ ხმის ტემბრი, ჟესტიკულაცია:

„რაც დასამალი არ არის, ის არც უნდა დავფაროთ და ვაღიაროთ. ქების წყურვილი ყველას გვკლავს, წარჩინებულნი უფრო ილტვიან დიდებისაკენ, ფილოსოფოსებიც კი თავიანთ წიგნებში გვირჩევენ, უარი ვთქვათ პატივზე და ამ დროს არ ავიწყდებათ, საკუთარი სახელი მოაწერონ თავიანთ თხზულებებს. ისინი ამტკიცებენ, რომ არ ღირს დიდებასა და პოპულარობაზე ფიქრი და ამავე დროს სურთ მათი სახელი გაცხადდეს... ბევრმა ცნობილმა პიროვნებამ იზრუნა, რომ შემოგვრჩენოდა მისი ქანდაკება, რომელიც მხოლოდ სხეულის ასლია და არა – სულისა; განა უფრო მეტად არ უნდა გვინდოდეს, დარჩეს ჩვენი სიქველის ძეგლი, ნიჭიერად და გემოვნებით ძერწილი? მე პირადად, რასაც ვქმნიდი, იმთავითვე იმ აზრისა ვიყავი, ამით ჩემს სახელს ვაცნობდი ყველას და ჩემს მარადიულ ხსოვნასაც დავტოვებდი ამქვეყნად, მაგრამ ამას ან ვერ გავიგებ სიკვდილის შემდეგ, ან, როგორც ბრძენი ადამიანები ფიქრობენ, ჩემი სულის რაღაც ნაწილი მაინც შეიგრძნობს ამას; აი, ამის იმედი მაქვს და ამით ვსულდგმულობ“.

ვიდრე ამ ტექსტს მხატვრულად წაიკითხავდეთ, გაეცანით ინსტრუქციას:

- ტექსტი შედგება სამი ნაწლისგან: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნითი ნაწილი. შესავალში ორატორი იპყრობს აუდიტორიის ყურადღებას რაიმე ფრაზით, რომლის შემდეგ იგი აკეთებს მცირე პაუზას. იპოვეთ ეს წინადადება და გამოყავით პაუზით;
- შემდეგ შესავალშივე ორატორი აცნობს თემას და თემასთან დაკავშირებულ პრობლემას, რის შესახებაც აპირებს საუბარს. იპოვეთ, სად მთავრდება შესავალი;
- ძირითად ნაწილში ორატორს მოჰყავს მაგალითები ამ თემასთან დაკავშირებით, რომელიც ადასტურებს შესავალში წარმოჩენილ თემას და მასთან დაკავშირებულ პრობლემას. იპოვეთ ეს ნაწილი;
- ბოლო ნაწილში ორატორი წარმოაჩენს თავის დამოკიდებულებას პრობლემისადმი და ამ პრობლემის გადაჭრის საკუთარ გზას. იპოვეთ, საიდან იწყება ეს ნაწილი;
- თითოეული ნაწილი გამოყავით პაუზით, განსხვავებული ინტონაციითა და რიტმით. ინტონაცია და სამეტყველო რიტმი შეარჩიეთ თქვენი სურვილისამებრ.

3 ის, რომ დრამა, თავისი კლასიკური ფორმით, პირველად სწორედ საბერძნეთში ჩამოყალიბდა, საყოველთაოდ არის აღიარებული. ბერძნული თეატრი წარმოუდგენელი იყო გუნდისა და მუსიკალური ინსტრუმენტების გარეშე, ვინაიდან ტრაგედია შეიცავდა დრამას, მუსიკას და ცეკვას ერთდროულად.

როცა ანტიკური ხანის თეატრალურ წარმოდგენაზე ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს, რომ ის, რასაკვირველია, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დღევანდელი თეატრალური დადგმებისგან. თავდაპირველად ძველ საბერძნეთში სცენაზე მხოლოდ ერთი მსახიობი გამოდიოდა, რომელიც აუდიტორიას გმირის ბედზე მოუთხრობდა გუნდის თანხლებით. მოგვიანებით წარმოდგენაში უკვე რამდენიმე მსახიობი მონაწილეობდა. მაშინდელ თეატრალურ წარმოდგენებში ქალი მსახიობები სცენაზე არ დაიშვებოდნენ.

ის, რომ კაცები ასრულებდნენ ქალების როლებსაც, მიგვითითებს თეატრალური ხერხების – ნიღბების, კოსტიუმების, ასამაღლებელი ფეხსაცმელების – კოთურნების – გამოყენება.

ნახეთ ორი ვიდეოფრაგმენტი: 1. ნაწყვეტი ძველბერძნული თეატრის წარმოდგენის ინსცენირებიდან მეფე აგამემნონის ცხოვრებაზე – დედოფალ კლიტემნესტრას მონოლოგი; 2. ფრაგმენტი ფილმიდან „ჰამლეტი“ – ჰამლეტის მონოლოგი.

- თქვენი აზრით, ეს ნაწარმოებები ტრაგედიაა თუ კომედია? ახსენით, რა ნიშნებით მიხვდით;

მიუთითეთ, დედოფალ კლიტემნესტრას მონოლოგის ფრაგმენტში ძველი ბერძნული თეატრის რა ტრადიციებია შენარჩუნებული;

თქვენი აზრით, რით შეიძლება კლიტემნესტრას ემოციების ამოკითხვა ამ ფრაგმენტში?

- ივარაუდეთ, რატომ უკეთია ცალ ხელზე წითელი ხელთათმანი?
- რით გამოირჩევა კლიტემნესტრას როლის შემსრულებლის დეკლამაცია? ჩამოთვალეთ მისი მახასიათებლები; თქვენი აზრით, რით არის განპირობებული?
- თქვენი ვარაუდით, რას ამბობს თავის მონოლოგში კლიტემნესტრა სცენაზე მწოლიარე პერსონაჟებზე? შეარჩიეთ ერთ-ერთი პასუხი:

ა) დასცინის მათ; ბ) ამხელს მათ; გ) დასტირის მათ; დ) თქვენი ვერსია. ახსენით;

- რა გაძლევთ ხილულის და რა – უხილავის წარმოდგენებს?
- რით გამოირჩევა ჰამლეტის როლის შემსრულებლის დეკლამაცია? შეადარეთ მეორე ფრაგმენტში წარმოდგენილ მხატვრულ დეკლამაციას.
- თქვენი აზრით, რატომ ხდება მოქმედება აკლდამაში?

გაკვეთილი 7-9

მელოდეკლამაცია, როგორც მუსიკის ერთ-ერთი გამომსახველობითი ხერხი ხილულისა და უხილავის გადმოცემაში

საკვანძო სიტყვები

მელოდეკლამაცია;
ოპერა;
მიუზიკლი;
ფსიქოლოგიური
პორტრეტი.

გავეცნოთ დეკლამაციის კიდევ ერთ სახეობას – **მელოდეკლამაციას**, ესაა მხატვრული დეკლამაცია მუსიკის თანხლებით.

მოისმინეთ მელოდეკლამაციის ორი ნიმუში: ლ. ვან ბეთჰოვენი – მუსიკა გოეთეს ტრაგედიის „ეგმონტის“ მიხედვით; რ. შუმანი – ფრაგმენტი ბალადიდან* – „გაქცეულები“.

ისაუბრეთ ორივე ფრაგმენტში გამოყენებული დეკლამაციების სახეებზე; განსაზღვრეთ, რა გამომსახველობითი ხერხებითაა გადმოცემული ხილული და უხილავი.

1 წარმოგიდგენთ ორ ბრწყინვალე მსახიობს, რომლებმაც თავ-თავის ჟანრში ცნობილი ნაწარმოებების ორიგინალური ინტერპრეტაციები შექმნეს. ისინი არიან XX საუკუნის დიდი რუსი ბანი ფიოდორ შალიაპინი, რომელიც ასრულებს ბორის გოდუნოვის როლს მოდესტ მუსორგსკის ოპერაში „ბორის გოდუნოვი“ და ოსკარის მფლობელი ამერიკელი მსახიობი რექს ჰარისონი, რომელიც ასრულებს პროფესორ ჰიგინსის როლს ფრედერიკ ლოუს მიუზიკლში „ჩემი მშვენიერი ლედი“. ორივე შესრულება გამოირჩევა თვითმყოფადობით, რაც მათ ოდნავ განასხვავებს კომპოზიტორების მიერ შექმნილი ორიგინალური ვერსიებისგან.

ფიოდორ შალიაპინი
1873-1938
მე-20 ს-ის გამოჩენილი
რუსი საოპერო მომღერალი

ფ. შალიაპინი ბორის გოდუნოვის როლში
მხატვარი ა. გოლოვინი. 1912 წ.

მოუსმინეთ ამ უნიკალურ ინტერპრეტაციებს და უპასუხეთ კითხვებს:

* **ბალადა** (ფრანგ. ballade) – თხრობითი ხასიათის ვოკალური ან ინსტრუმენტული ნაწარმოები.

- მოსმენილის მიხედვით, რა აქვს საერთო ამ ორ ინტერპრეტაციას;
- რა წარმოგიდგებათ თვალწინ ამ ნაწყვეტების მოსმენისას: წარმოადგინეთ ერთი ჟესტი, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავს ამ მუსიკალური ნომრების განწყობას და ახსენით, რისი გამომხატველია ის;
- დეკლამაციის რომელი ნაირსახეობებია გამოყენებული ფრაგმენტებში? თქვენი აზრით, რატომ მიმართეს მსახიობებმა შესრულების ამგვარ ხერხს?

ზეპირად შეავსეთ ნაკლული ტექსტი:

მხატვრულ ხერხს, სადაც შემსრულებელი ---------- ---------- **დეკლამაცია** ჰქვია.

2 გავიხსენოთ, რა არის **მიუზიკლი** – ესაა მუსიკალურ-სცენური ნაწარმოები, რომელიც მოიცავს დრამის ყველა სახეობას – ერთმანეთს ენაცვლება დიალოგი, სიმღერა, მუსიკა, ცეკვები. თანამედროვე მიუზიკლის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა სხვადასხვა ჟანრმა: ოპერეტამ, კომიკურმა ოპერამ, ვოდევილმა.

მოუსმინეთ პროფესორ ჰიგინსის სცენის პირველ ნაწილს ფრედერიკ ლოუს მიუზიკლიდან „ჩემი მშვენიერი ლედი“ და გადახედეთ ამ ნაწილის ტექსტს ქართულ ენაზე (ტექსტი მოცემულია შემოკლებებით):

...მე შევეჩვიე მის სახეს,
მისით თენდებოდა ჩემი დღე...
შევეჩვიე იმ მოტივს,
რომელსაც ის წაუსტვენდა დილითა და საღამოს,
ის გახდა ჩემი სულის ნაწილი,
ჩემს სუნთქვად, ჩემს ოხვრად იქცა,
ვიდრე შევხვდებოდი მას,
მე ვიყავი თვითდაჯერებული და დამოუკიდებელი
და, რა თქმა უნდა, ასეთადვე დავრჩები...
თუმცა შევეჩვიე მის გამოხედვას,
შევეჩვიე მის ხმას,
შევეჩვიე მის სახეს.

➢ თქვენი აზრით, რა ურთიერთკავშირშია ტექსტის შინაარსი და მსახიობის მიერ გამოყენებული დეკლამაციის ხერხი:

ა ტექსტის ემოციური მუხტი ემთხვევა იმ ემოციას, რომელსაც გადმოსცემს მსახიობის მიერ გამოყენებული დეკლამაციის ხერხი. ახსენით, რატომ;

ბ ტექსტის ემოციური მუხტი არ არის სრულ თანხმობაში იმ ემოციასთან, რომელიც გადმოცემულია მსახიობის მიერ გამოყენებული დეკლამაციის ხერხით. ახსენით, რატომ.

გ მსახიობის მიერ გამოყენებული დეკლამაციის ხერხი გადმოსცემს ტექსტის მიღმა არსებულ ემოციებს, რომლებიც უფრო ღრმად წარმოაჩენს პერსონაჟის უხილავ შინაგან ფსიქოლოგიურ მდგომარეობას; რა ემოციებია ეს?

➢ რა როლს თამაშობს დეკლამაცია ამ ემოციურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის გადმოცემაში?
➢ რა როლს თამაშობს მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხები?

3

მოუსმინეთ პროფესორ ჰიგინსის სცენის მეორე ნაწილს და წაიკითხეთ ამ ნაწილის ტექსტის ქართული (შემოკლებული) ვარიანტი:

ფრედიზე გათხოვება!.. რა ინფანტილურობაა! რა უგულოდ, უმოწყალოდ გამოთქმული განაცხადია! ის ინანებს, ოჰ, როგორ ინანებს! თავს დაიღუპავს ასეთი გადაწყვეტილებით!

კარგად ვხედავ მას – გვარად ფრედი ეინსფორდ-ჰილ,
ბეღელს რომ მაღაზია ადგას თავს;
კარგად ვხედავ – ღატაკსა და გადაღლილს,
ბანკის ინკასატორი რომ უნგრევს კარს.

ინგლისურის მასწავლებლად სურდა ყოფნა,
ამის ნაცვლად კი ყვავილების გაყიდვა უწევს,
ლუკმაპურის საშოვნელად მუხლებზე უწევს ხოხვა,
მისი მეუღლე კი სამხარს მიირთმევს.

ფერდაკარგული და შეშინებული,
სახლში რომ მივა, რა დახვდება?
რაც იყო მოსალოდნელი, –
უბედურება, ქალს რომ თავზე დაატყდება –
თურმე, ნუ იტყვით და, მისი ქმარი
ნიუ-იორკელ ქვრივს გაჰყოლია,
მისი ფულით მოხიბლულა,
მისი ქონებით და გვარიშვილობით
და გულგრილად მიუტოვებია
ჩვენი საცოდავი ქალი.
საბრალო ელიზა! შეურაცხყოფილი!
რა დამამცირებელია მისთვის ყოველივე ეს!
და რა სასიხარულოა ჩემთვის!

კადრი ფილმიდან „ჩემი მშვენიერი ლედი“

ტექსტიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ, რა როლი ენიჭება ამ ნაწილში დეკლამაციასა და მუსიკის სხვა გამომსახველ ხერხებს:

ა ავსებენ ერთმანეთს, გადმოსცემენ ერთსა და იმავე განწყობას; თქვენი აზრით, რა განწყობაა ეს?

ბ დეკლამაციასა და მუსიკის გამომსახველობით ხერხებს შორის შეიმჩნევა გარკვეული ემოციური დაპირისპირება; ისაუბრეთ, რაში მდგომარეობს ეს დაპირისპირება.

გ როგორ გამოიყენებდით მოცემულ კონტექსტში სიტყვებს:

შეურაცხყოფილი

გარეგნულად გულგრილი

სარკასტული

ღვარძლიანი

4 გაეცანით მესამე ნაწილის ტექსტს და მის მუსიკალურ ინტერპრეტაციას:

.....
როცა მოუწევს ჩემს კართან მუდარით პატიების თხოვა,
მაშინ თუ შევიკედლებ მას და ვაპატიებ,
თუ მოვისვრი ქუჩაში მის ბარგს?

მაგრამ მოწყალე კაცი ვარ,
ვინც არ ჩაიდენს იმას, რის ჩადენაც შეუძლია,
არ გაწირავს იმას, ვინც სთხოვს,
ვისაც სწყურია, ვისაც შია.

მაგრამ უღირს და უმადურ
ქალს ჩემს სახლში ვერ შევუშვებ,
თუნდაც მუხლმოდრეკით მთხოვოს,
თუნდ მუდარით ღვაროს ცრემლი.

გაჰყვე ფრედის! ჰა!..

მაგრამ დღეც არ გავა,
რომ არ ჩამესმოდეს
მისი წკრიალა ხმა, რომ მახალისებს,
ჩემს ყოველ ნაბიჯს აზრს რომ ანიჭებს,
ჩემს ყოველ გრძნობას კარს რომ უღებს,
რასაც მუდამ გულით ვატარებ,
რისიც მთელი ჩემი არსებით მწამს,
ხსნის იმ ფარულ ხმას,
თავიდან რომ მაცნობს თავს...
ვნატრობ იმ თითოეულ წამს,
რაც ჩემში ტოვებს კვალს –
უმშვენიერეს ქალს.

რექს ჰარისონი
პროფესორ ჰიგინსის როლში

როგორც მუსიკიდან მიხვდებოდით, ეს ნაწილი, თავის მხრივ, სამ ქვენაწილად იყოფა. რა განსაზღვრებას მისცემდით ამ ქვენაწილებს:

- რატომ იწყებს სიმღერას პროფესორი ჰიგინსი?
- მესამე ქვენაწილში მუსიკა დეკლამაციისა და სიმღერის გარეშე ჟღერს. თქვენი აზრით, რატომ დასჭირდა კომპოზიტორს ამ სცენაში მრავალჯერ გაჟღერებული მუსიკალური თემის ვრცელი საორკესტრო ვერსიის კიდევ ერთხელ გამეორება?
- რა იდეას ავითარებს ეს სამივე ქვენაწილი?
- რომელ ქვენაწილში ხდება ყველაზე მკაფიოდ ამ იდეის ნათელყოფა?

5

LMMS. ცალკეული სემპლებიდან ააწყეთ Song-Editor ფანჯარაში პროფესორ ჰიგინსის სიყვარულის თემა.

6

ბორის გოდუნოვი მეფე ივანე მრისხანეს მეფობის დროს ერთ-ერთი გავლენიანი თავადი იყო. არსებობს ვარაუდი, რომ ივანე მრისხანის სიკვდილის შემდეგ, სამეფო ტახტზე ასვლის მიზნით, გოდუნოვმა თავის მოხელეებს ტახტის მცირეწლოვანი მემკვიდრის – დიმიტრის მოკვლა უბრძანა. ამბავი მთელ რუსეთს მოედო. სწორედ ეს ვარაუდი დაედო საფუძვლად მუსორგსკის ოპერას „ბორის გოდუნოვი“. ეს სცენა გოდუნოვს იმ მძიმე წუთებში წარმოაჩენს, როდესაც მას, სინდისის ქენჯნით დატანჯულსა და თავზარდაცემულს, უფლისწული დიმიტრი ელანდება, რომელიც თითქოსდა შეწყალებას ითხოვს.

მოისმინეთ ამ სცენის სამი ფრაგმენტი.

- თქვენი აზრით, რომელ ფრაგმენტში წარმოთქვამს მსახიობი შემდეგ სიტყვებს:

„აი, იქ, იქ, რა არის იქ, კუთხეში?!“

ა ბ გ

- მიაქციეთ ყურადღება, ჟღერს თუ არა ამ ფრაგმენტში მუსიკალური თანხლება;
- თქვენი სიტყვებით ახსენით, ამ ხერხით რა ეფექტის მიღწევა სურდა კომპოზიტორს. რა სახის დეკლამირებასთან გვაქვს საქმე ამ ნაწყვეტში?

მუსიკალური თვალსაზრისით, ეს სცენა საოცარი სიმდიდრით გამოირჩევა. მოუსმინეთ ამ სცენის საორკესტრო შესავალს.

- აღწერეთ, რას მოგაგონებთ შესავალში გაჟღერებული წყვეტილი აკორდები.

7 დიმიტრი უფლისწულის ლანდის სახება გოდუნოვის ფსიქიკაზე მოქმედებს, რაც ოპერის ბოლოს მას სიკვდილამდე მიიყვანს.

მეორე მოქმედებაში ბორის გოდუნოვი მონოლოგის ბოლოს წარმოთქვამს სიტყვებს:

„თუკი ოდესმე შენს სინდისს ლაქა დაედო, ეს საშინელი ბედისწერაა. გაქცევა გწადია, მაგრამ ამაოდ. სული იწვის, გული შხამით ივსება და წუხილი, წუხილი ისე დაგამძიმებს, თითქოს გული ურისავით გიცემს, სული გეხუთება და თავბრუ გესხმის...“

მოუსმინეთ სცენის იმ ფრაგმენტს, სადაც შემსრულებელი დეკლამაციას იწყებს. დააკვირდით საორკესტრო თანხლებას; როგორ ფიქრობთ, რას უნდა გადმოსცემდეს აქ საორკესტრო პარტია:

საათის წიკწიკს	გულისცემას	ზარების რეკვას

- თქვენი აზრით, რა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს ამ თანხლებას?
- რომელი დასკვნაა უფრო მისაღები თქვენთვის:

ა საორკესტრო პარტია გადმოსცემს ტექსტში ჩადებულ ემოციურ მუხტს; ახსენით, რა ხერხებით გადმოიცემა ეს მუხტი;

ბ საორკესტრო პარტია გადმოსცემს ტექსტის შინაარსს მიღმა არსებულ ემოციას, ის წარმოადგენს ტექსტის ერთგვარ კომენტარს. ისაუბრეთ, რაში მდგომარეობს ეს კომენტარი.

8 რომელ სცენას ესადაგება მარცხენა სვეტში წარმოდგენილი მტკიცებულებები? გადახაზეთ ცხრილი რვეულში; ჩასვით ✓ ნიშანი სათანადო უჯრაში:

	ბორის გოდუნოვის სცენა	**პროფესორ ჰიგინსის სცენა**
დეკლამაციის ხერხი გამოიყენება შინაგანი განცდების შენიღბვის მიზნით.		
დეკლამაციის ხერხი გადმოსცემს ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, როდესაც ადამიანი საკუთარ გონებაში შექმნილ ფანტასმაგორიას რეალობად აღიქვამს.		
სცენა, სადაც ხილულსა და უხილავს შორის ზღვარი წაშლილია.		
სცენა, სადაც ხილული და უხილავი მკვეთრად გამიჯნულია ერთმანეთისგან.		

გაკვეთილი 15-16 შემაჯამებელი გაკვეთილი

გადავავლოთ თვალი, რა შეისწავლეთ თემის პირველ ნაწილში. მასწავლებელი მოგასმენინებთ რამდენიმე ფრაგმენტს შესწავლილი მასალიდან და ამოიცანით, რა სახის დეკლამაცია გვხვდება თითოეულ მათგანში;
იმსჯელეთ, რა მახასიათებლებით განასხვავებთ მათ ერთმანეთისგან.

1. წარმოადგინეთ თქვენ მიერ რვეულში ან LMMS პროგრამაში შესრულებული ნაშრომები;

- გააკეთეთ ამ ნაშრომების პრეზენტაცია თანდართული აუდიო/ვიდეო მასალით.

2. ისაუბრეთ დეკლამირების ნაირსახეობებზე, განმარტეთ თითოეული მათგანის მნიშვნელობა;

- გამოთქვით საკუთარი აზრი, რა მნიშვნელობა აქვს დეკლამაციის სხვადასხვა ნაირსახეობას ხილულისა და უხილავის წარმოჩენაში;
- რა სიტყვიერი თუ მუსიკალური ხერხებითაა შესაძლებელი ხილულისა და უხილავის გადმოცემა;
- რა დროს იჩენს უფრო მკვეთრად თავს შინაგანი, უხილავი არსი მუსიკაში?

3. გაუზიარეთ თანაკლასელებს, როგორ დაგეგმეთ პრეზენტაცია – რატომ შეარჩიეთ კონკრეტული თემა, რა რესურსები გამოიყენეთ;

- რით იყო თქვენთვის საინტერესო ეს თემა;
- რა შეგმატათ პრეზენტაციაზე მუშაობამ?

დაადგინეთ, რა დაგამახსოვრდათ, რის გაგებას ისურვებდით მოცემული საკითხების ირგვლივ.
შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვისწავლე	რაში დამეხმარება შეძენილი ცოდნა	რის შესწავლას ვისურვებდი

მოისმინეთ ფრაგმენტი რადიოსპექტაკლიდან „სამი ვედრო თოვლი“.
ამოარჩიეთ სწორი პასუხ(ებ)ი და დაასახელეთ, რა და რა სახის დეკლამაცია გვხვდება:

- რა მხატვრული ხერხებითაა წარმოჩენილი დეკლამაციაში ხილული და უხილავი?
- როგორ ამოიცანით ის მხატვრული ხერხები, რომლებითაც მიიღწევა ხილული და უხილავი დეკლამაციაში?

წარმატების კიბე

გადაავლეთ თვალი თემის I ნაწილში განხილულ ნაწარმოებებს, გადაიწერეთ რვეულში ქვემოთ მოცემული მკვიდრი წარმოდგენების ტექსტები, განხილული ნაწარმოებებიდან რომელიმე დაუკავშირეთ ერთ-ერთ კვადრატს, წარმოადგინეთ მაგალითები და, რომელსაც ეთანხმებით, აღნიშნეთ ✓ ნიშნით:

სიტყვისა და მუსიკის გამომსახველობითი ხერხების ურთიერთკავშირი ყველაზე ნათლად დეკლამაციის ნაირსახეობებში იჩენს თავს.

მუსიკის საშუალებით შეიძლება ხილულისა და უხილავის გადმოცემა.

ხილულისა და უხილავის ამოცნობა მუსიკაში გამოყენებული სიტყვისა და მუსიკის გამომსახველობითი ხერხების ურთიერთკავშირის მიხედვით შეიძლება.

რაც უფრო მატულობს მუსიკის გამომსახველობითი ხერხების მნიშვნელობა დეკლამაციაში, მით უფრო მკვეთრად იჩენს თავს შინაგანი, უხილავი არსი მუსიკაში.

თუ რომელიმეს არ ეთანხმებით, ახსენით თქვენი მოსაზრება.

თქვენი ცოდნა შეფასდება:

თემატური ბლოკი – „ხილული და უხილავი მუსიკაში“ (I ნაწილი)	
• მუსიკალური ნაწარმოების ჰარმონიაზე, რიტმსა და ფორმაზე დაკვირვებით მსჯელობა; ჟანრის განსაზღვრა; მოსმენილი ფრაგმენტების ერთმანეთთან შედარება; დეკლამაციისა და სხვა გამომსახველობითი ხერხების ამოცნობა და მათი როლის განსაზღვრა; • სათანადო რიტმის, მელოდიის, ჰარმონიისა და ფორმის გამოყენებით მუსიკალური კოლაჟის შექმნა.	ამოიცნობს მუსიკის მახასიათებლებს და ადეკვატურად იყენებს ტერმინებს.
	ამოიცნობს ხილულისა და უხილავის მახასიათებლებს დეკლამაციის სხვადასხვა სახეობაში.
	განსაზღვრავს მუსიკისა და სიტყვის ურთიერთკავშირს ფრაგმენტის შინაარსობრივი და ემოციური დატვირთვის ინტერპრეტირებაში.

გაკვეთილი 24-25

სიტყვა ინსტრუმენტულ მუსიკაში, როგორც ხილულის გადმოცემის საშუალება

საკვანძო სიტყვები

პროგრამული მუსიკა.

პროგრამული მუსიკა

ნებისმიერი მუსიკალური ნაწარმოები რაიმე შთაბეჭდილების საფუძველზე იქმნება. არის ნაწარმოებები, რომელთა დასათაურებაში კომპოზიტორის მიერ მითითებულია თემა, რის საფუძველზეც შეიქმნა ეს ნაწარმოები.

დაიმახსოვრე!

პროგრამულია მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც დასახელება ან სიტყვიერი წინასიტყვაობა გააჩნია.
პროგრამულად არ ითვლება ის ნაწარმოები, რომლის სათაურში გამოტანილია რაიმე განწყობა, მაგალითად, „მელანქოლია“, „იუმორესკა“ და ა. შ.

პროგრამული მუსიკა შექმნილია კონკრეტულ თემაზე (სიუჟეტზე), რომელიც, როგორც წესი, კომპოზიტორს მოცემული აქვს სიტყვიერ განმარტებაში (პროგრამაში) ან ნაწარმოების დასათაურებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომპოზიტორი სიტყვის მეშვეობით აზუსტებს იმას, რაც შეგვიძლია მხოლოდ წარმოვიდგინოთ მუსიკის მოსმენისას. ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვის სიმფონიური სიუიტა „შეჰერეზადა“, რომელსაც საფუძვლად დაედო შუა საუკუნეების არაბული წერილობითი ძეგლი, ზღაპრები „ათას ერთი ღამე“.

კომპოზიტორმა პარტიტურას წაუმძღვარა ტექსტური პროგრამა, რომელიც თავად შეადგინა: „სულთანი შაჰრიარი დარწმუნებული იყო, რომ ყველა ქალი გაიძვერა და ორგულია. ამის გამო ბრძანება გასცა, რომ ყოველი ღამის შემდეგ მისი ერთ-ერთი ცოლი სიკვდილით დაესაჯათ. სულთნის მრავალრიცხოვან ცოლთაგან მხოლოდ ერთმა – შეჰერეზადამ შეძლო ეხსნა თავისი სიცოცხლე იმით, რომ ყოველ ღამე სულთანს უყვებოდა ზღაპრებს, რომლებსაც ყველაზე საინტერესო ადგილას წყვეტდა. ცნობისმოყვარეობით ანთებული სულთანი ზღაპრის გაგრძელების მოლოდინში აყოვნებდა შეჰერაზადას დასჯას. ასე გაგრძელდა 1001 ღამეს, სანამ სულთანმა თავისი ბრძანება არ გააუქმა“.

მოუსმინეთ ნაწყვეტს ამ ნაწარმოებიდან და გამოთქვით თქვენი აზრი:

- წარმოიდგინეთ თუ არა ის ზღაპრული სურათები, რის საფუძველზეც შეიქმნა ეს სიუიტა? რამ განაპირობა ეს, სიტყვიერმა პროგრამამ თუ მუსიკამ? მათგან რომელმა წარმოაჩინა ხილული და რომელმა – უხილავი?
- როგორ ფიქრობთ, რომ არა სიტყვიერი განმარტება, მიხვდებოდით თუ არა, რისი/ვისი სახის შექმნა სურდა კომპოზიტორს მუსიკით? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ახსენით, რა მუსიკალური მახასიათებლებით ამოიცანით ის.

1

1

2

3


4

ვინაიდან ეს ილუსტრაციები გაგახსენებთ წინა წლებში შესწავლილ მუსიკალურ ნაწარმოებებს, მათი ამოცნობა და დასათაურება არ გაგიჭირდებათ.

მოუსმინეთ რამდენიმე მუსიკალურ ფრაგმენტს; დაასახელეთ ის ფრაგმენტები, რომლებშიც, თქვენი ვარაუდით, მკვეთრად ჩანს, თუ რა სახის შექმნა სურდა კომპოზიტორს მუსიკაში. მოსმენის დროს ამოიცანით ნაწარმოები, ჟანრი. თითოეული ფრაგმენტი მიუსადაგეთ ილუსტრაციებსა და კომპოზიტორების ფოტოებს:

მ. მუსორგსკი
1839-1881

პ. ჩაიკოვსკი
1840-1893

კ. დებიუსი
1862-1918

ს. პროკოფიევი
1891-1953

2

მოუსმინეთ რამდენიმე მუსიკალურ ფრაგმენტს და დაასახელეთ ის ფრაგმენტები, რომლებშიც, თქვენი ვარაუდით, მკაფიოდ ჩანს, რა კონკრეტული სახის შექმნა სურდა კომპოზიტორს.

ქვემოთ განთავსებულია ოთხი კომპოზიტორის ფოტო, სამი მათგანის ნაწარმოებები თქვენთვის კარგადაა ცნობილი წინა წლებიდან. თუ გაიხსენებთ ამ ნაწარმოებების დასახელებებს, შეეცადეთ რაიმე ნიშნით მიუსადაგოთ მათი ავტორები ახლა მოსმენილ ფრაგმენტებს. ახსენით თქვენი მოსაზრებები, რის მიხედვით ამოიცანით.

ფერდ გროფე
1892-1972

კლოდ დებიუსი
1862-1918

ოტორინო რესპიგი
1879-1936

ფრანსის პულენკი
1899-1963

- ყველაზე ადვილად რომელი ავტორების ნაწარმოების მოსმენისას წარმოიდგინეთ რაიმე სურათი?
- შეგიძლიათ აღწეროთ, რა წარმოიდგინეთ?
- როგორ დაასათაურებდით ამ ნაწარმოებებს?
- რომელი ნაწარმოების მოსმენისას ვერ წარმოიდგინეთ ვერაფერი, მიუხედავად იმისა, რომ ავტორს დასათაურებული ჰქონდა ნაწარმოები? როგორ ფიქრობთ, რატომ?

მასწავლებელი კვლავ მოგასმენინებთ ამ ფრაგმენტებს და დაასახელებს ნაწარმოებებს, შემდეგ უპასუხეთ კითხვებს:

- დაემთხვა თუ არა თქვენი წარმოდგენები ავტორისეულს?
- რომელი ნაწარმოები არ იყო პროგრამული? ახსენით თქვენი პასუხი;
- დაგეხმარათ სათაური მუსიკის აღქმაში თუ პირიქით, გაართულა მისი აღქმა? შეეცადეთ ახსნათ, რატომ.

3 გამოჩენილ ფრანგ კომპოზიტორს მორის რაველს ბევრი პროგრამული მუსიკა აქვს შექმნილი. ერთ-ერთი მისი საფორტეპიანო ციკლი მთლიანად ფრანგი პოეტის, ალოიზ ბერტრანის (1807-1941) ლექსების მიხედვით არის შექმნილი. ალოიზ ბერტრანმა შექმნა ახალი ჟანრი – ე. წ. პოეტური პროზა. მისი მთავარი წიგნი გახლავთ კრებული „ღამის გასპარი“ („ღამის მოჩვენებები“). რაველმაც ასევე დაასათაურა თავისი ციკლი. მან ამ კრებულიდან შეარჩია სამი ლექსი პროზად. პირველი პიესა – „უნდინა“ ამავე სახელწოდების ლექსზეა შექმნილი. უნდინა ევროპული ქვეყნების ლეგენდებში მდინარეებისა და ტბების ქალღმერთია. აი, როგორ აღწერს თავის ლექსში უნდინას ალოიზ ბერტრანი. გთავაზობთ ამ ლექსის პირველი სტროფის თარგმანს:

მორის რაველი
1875-1937

„გესმის?! გესმის?! ეს მე ვარ, უნდინა! მე ვაპკურებ წვიმის წვეთებს მთვარის უსიცოცხლო სხივით განათებულ შენი ფანჯრის შუშაზე.
კოშკის მფლობელი, მუარის კაბაში, თავისი აივნიდან შესცქერის ვარსკვლავიან ღამეს და მშვენიერ, მოლივლივე ტბას...“

უპირველესად რა წარმოგიდგათ თვალწინ ამ ნაწყვეტის წაკითხვისას? დააკავშირეთ რომელიმე ნახატთან; ახსენით თქვენი არჩევანი.

წარმოადგინეთ თქვენი განსხვავებული ვერსია.

- შეეცადეთ დაახასიათოთ თქვენი განწყობა ერთი სიტყვით; მოსმენისას რა ფერებში წარმოიდგინეთ სურათი?
- წაიკითხეთ ზემოთ წარმოდგენილი ლექსის ტექსტი „უნდინადან“, მანამდე განსაზღვრეთ, რა ტემპითა და ინტონაციით წაიკითხავთ, როგორ ტემბრს შეურჩევთ ხმას.

4 თავის შემოქმედებაში რაველმა სამჯერ მიმართა წყლის სტიქიას. მოისმინეთ ფრაგმენტები ამ სამი ნაწარმოებიდან: „წყლის თამაში“, „უნდინა“, „ნავი ზღვაში“.

- თქვენი აზრით, რომელი ფრაგმენტი გადმოსცემს ბერტრანის ლექსის განწყობას?
- აღწერეთ, რა წარმოიდგინეთ თითოეული პიესის მოსმენისას:

ა ტალღის შხეფების ხმა

ბ წყლის ზედაპირის ლივლივი

გ წვეთების წკაპუნი

- რომელ ფრაგმენტში ჟღერს წყლის ხმა ფონად? აღწერეთ;
გაეცანით სწორ პასუხს და შეამოწმეთ, დაემთხვა თუ არა თქვენს ვარაუდს; თუ არ დაემთხვა, როგორ ფიქრობთ, რატომ?
- შეიცვალა რაიმე თუ არა ბერტრანის ლექსისადმი თქვენს დამოკიდებულებაში? თუ კი, ისაუბრეთ, რა შეცვალა;
- დააკვირდით სანოტო მაგალითებს. როგორ ფიქრობთ, რომელ სანოტო მაგალითშია წარმოჩენილი „უნდინაში“ გაჟღერებული წყლის ხმის ეფექტი? რომელ მაგალითზეა მოცემული გამოკვეთილი მელოდიური ხაზი? მიუთითეთ და ახსენით, რის მიხედვით დაასკვენით ასე.

ა

ბ





5 წაიკითხეთ ამ ლექსის ბოლო სტროფი:

„თავისი ჩუმი სიმღერის დასრულებისას უნდინა მემუდარებოდა, თავისი თითიდან მოხსნილი ბეჭედი მიმეღო, მის ციხე-კოშკს ვწვეოდი, მისი მეუღლე და ტბების მფლობელი გავმხდარიყავი, მაგრამ მე ვუპასუხე, რომ სხვა მიყვარს.
უნდინა შეიშმუშნა, რამდენიმე ცრემლი გადმოღვარა, თუმცა მალევე გადაიხარხარა და გადაიქცა წვიმის წვეთებად, რომლებიც ჩემს ფანჯარას ეპკურებოდა“.

მოისმინეთ ორი ფრაგმენტი „უნდინადან“.

- შეეცადეთ, ამ ორი მუსიკალური ფრაგმენტიდან ერთ-ერთში ამოიცნოთ სიტყვები ლექსიდან; განმეორებით მოუსმინეთ მუსიკას და შეადარეთ ტექსტს.
- ახსენით, როგორ ამოიცანით ეს სიტყვები მუსიკაში;

ა მუსიკის განწყობით; რა განწყობაზეა საუბარი?

ბ მუსიკალური ეფექტებით; რა ეფექტებზეა საუბარი?

- დააკვირდით ამ სანოტო მაგალითს. თქვენი აზრით, ლექსიდან რომელი მომენტია აქ ასახული? მოუსმინეთ ამ სანოტო მაგალითს:



დაასახელეთ, მუსიკის რა გამომსახველი საშუალებებით გადმოსცემს კომპოზიტორი ამ სიტყვებს?

მოუსმინეთ მთლიან პიესას და მოსმენილის მიხედვით თანმიმდევრულად დააწყვეთ ლექსის სტროფები:

ა

„გესმის? გესმის, როგორ შრიალებს წყალი? ეს მამაჩემი ამღვრევს მას მურყნის მწვანე ტოტით, ჩემი დები აქაფებული ხელებით ეხვევიან წყლის შროშანების, გლადიოლუსებისა და ბალახის ქორფა კუნძულებს, ან დასცინიან დაჩაჩანაკებულ წვერიან ტირიფს და თევზის დაჭერას არ აცლიან“.

ბ

„თავისი ჩუმი სიმღერის დასრულებისას უნდინა მუდარით მთხოვდა თავისი თითიდან ჩამოხსნილი ბეჭედი მიმეღო, მის ციხე-კოშკს ვეწვეოდი, მისი მეუღლე და ტბების მფლობელი გავმხდარიყავი. მაგრამ მე ვუპასუხე, რომ სხვა მიყვარს. უნდინა შეიშმუშნა, რამდენიმე ცრემლი გადმოღვარა, თუმცა მალევე გადაიხარხარა და გადაიქცა წვიმის წვეთებად, რომელიც ჩემს ფანჯარას ეპკურებოდა“.

გ

„გესმის?! გესმის?! ეს მე ვარ, უნდინა! ეს მე ვაპკურებ წვიმის წვეთებს მთვარის უსიცოცხლო სხივით განათებულ შენი ფანჯრის წკარუნა შუშაზე. კოშკის მფლობელი, მუარის კაბაში, თავისი აივნიდან შესცქერის ვარსკვლავიან ღამეს და მშვენიერ მთვლემარე ტბას...“

დ

„თითოეული წვრილი ნაკადი – ნიაღვარს აყოლილი წყლის მხცოვანი სულია, თითოეული ნიაღვარი – ჩემს სასახლესთან მიმავალი მრუდე ბილიკია, ჩემი მერხევი სასახლე კი ტბის ფსკერზე ცეცხლს, მიწასა და ჰაერს შორისაა აღმართული“.

„უნდინას“ სქემის უჯრებში ჩაწერეთ სათანადო სტროფის ლიტერი:

შემაჯამებელი გაკვეთილი

გაკვეთილი 26-27

1 წარმოადგინეთ LMMS პროგრამაში შესრულებული ნაშრომები.

2 სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში ამოიცანით დეკლამაციის სახეები. ცხრილი გადაიტანეთ ფურცელზე და ✓ ნიშანი ჩაწერეთ სათანადო უჯრაში.

ფრაგმენტი	გამოყენებული დეკლამაციის სახეობები				
	მხატვრული	ინ-ტონირე-ბული	რიტმული	მე-ლოდეკლა-მაცია	ნახევრად-მღერა
მიუზიკლი „ჩემი მშვენიერი ლედი“					
ორატორია „ჟანა დ'არკი					
ოპერა „ქეთო და კოტე“					
ვოკალური ციკლი „მთვარის პიერო“					
როკოპერა „იესო ქრისტე სუპერ-ვარსკვლავი“					

რის მიხედვით შეფასდება თქვენი ცოდნა:

ვერ ხსნის, რა ასოციაციას ან რა განცდას იწვევს მასში ეს მუსიკა.	ქულა
ამოიცნობს ცალკეულ რიტმულ ფიგურაციას, მელოდიურ სვლას, ამოიცნობს ცალკეულ ინტერვალს, მაგრამ ვერ აკავშირებს რაიმე კონკრეტულ მხატვრულ სახესთან, არ შეუძლია იმ ემოციური ეფექტის აღწერა, რომელიც ამ მუსიკალური ელემენტებით იქნა მიღწეული.	1
ამოიცნობს მუსიკალური ენის რამდენიმე ელემენტს და უკავშირებს რაიმე ერთ მხატვრულ სახეს.	2
შეუძლია მუსიკალური ენის სხვადასხვა ელემენტი დაახარისხოს შემოთავაზებული ინტერპრეტაციების მიხედვით.	3
ამოიცნობს მუსიკაში რამდენიმე შემოთავაზებული ინტერპრეტაციის მახასიათებლებს, წერილობით განიხილავს მათ სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში; სთავაზობს განსხვავებულ კონტექსტს და ასაბუთებს.	4

თავი II

მუსიკა საზოგადოებაში
და
საზოგადოება მუსიკაში

თემა: თაობები და მუსიკა

ამ თავში შეისწავლი:

- როგორ ამოვიცნოთ სხვადასხვა პერიოდის მუსიკა
- თანამედროვე მუსიკალურ მიმდინარეობებს
- როგორ აისახება მუსიკაში სხვადასხვა პერიოდში არსებული ინტერესთა სფეროები
- კომპოზიციების შექმნას ისტ-ის გამოყენებით

გაკვეთილი 30-31 პოპულარული მუსიკა

საკვანძო სიტყვები

პოპმუსიკა – პოპი;
შანსონი;
ჯაზი;
სოული.

დაიმახსოვრე!

პოპმუსიკა (ინგ. pop-music) – პოპულარული მუსიკა – ცნება, რომელიც მოიცავს მუსიკალური სტილებისა და მიმართულებების ნაირსახეობებს.

1 თანამედროვე მუსიკა ჟანრობრივად იმდენად მრავალფეროვანია, რომ მათი ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანს. დავიწყოთ ყველაზე ცნობილი და პოპულარული მუსიკის მიმართულებების განხილვა.

1940-1950-იანი წლებიდან, და უფრო ადრეც, ძირითადად, ამერიკასა და ევროპაში დამკვიდრდა მუსიკალური მიმდინარეობა – პოპულარული მუსიკა, ე. წ. ტრადიციული პოპი, ჩვენთან მას „საესტრადო მუსიკას“ უწოდებდნენ.

ფოტოსურათებზე ხედავთ საყოველთაოდ აღიარებულ მუსიკოსებსა და მომღერლებს, რომლებიც მე-20 ს-ის შუა წლებიდან მოყოლებული, მთელი მსოფლიოს სათაყვანებელი შემოქმედნი იყვნენ. გსმენიათ თუ არა მათ შესახებ? შეგიძლიათ დაასახელოთ, რა ჟანრში მოღვაწეობდნენ და მოგისმენიათ თუ არა რომელიმე სიმღერა მათი შესრულებით?

ფრენკ სინატრა
1915-1998

ედიტ პიაფი
1915-1963

ჯგუფი The Platters
1953-1970

ელლა ფიცჯერალდი
1917-1996

ბენ ე. კინგი
(ბენჯამენ ერლ ნელსონი)
1938-2015

ლუი არმსტრონგი
1901-1971

როგორც მომღერლების ცხოვრების თარიღებიდან მიხვდებოდით, ისინი დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდში მოღვაწეობდნენ; თითოეული მათგანი თავის ჟანრში შეუდარებელი ხელოვანი იყო, თაობა, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა და მთელი ეპოქა შექმნა პოპმუსიკის ისტორიაში.

დაასახელეთ თქვენთვის ცნობილი თანამედროვე მუსიკის ჟანრები.

შანსონი, სოული – მუსიკის ეს ჟანრები ახალია თქვენთვის. განვმარტოთ თითოეული მათგანი:

შანსონი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს სახალხო სიმღერებს. ის ვოკალურ-მუსიკალური ჟანრია, ფრანგული საესტრადო სიმღერა კაბარეს* სტილში, რომელსაც შანსონიე ასრულებს. ეს ჟანრი ძალიან პოპულარული იყო XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში.
სოული – პოპულარული მუსიკის ჟანრი (soul) – ინგლისური სიტყვაა და ქართულად სულს ნიშნავს. ეს მუსიკაც სწორედ სულის ამოძახილია და აქცენტი ვოკალურ შესრულებაზე, რელიგიური თემების შერწყმაზეა გაკეთებული. სოულზე გავლენა მოახდინა ევროპულმა მუსიკამ, გაჩნდა სოლო შესრულება. სოული ითვლება თავისუფალი ჟანრის მუსიკად, რადგან იგი ყველაზე მეტად უახლოვდება სულს, ფიქრებსა და განცდებს.

მოუსმინეთ ცნობილ მუსიკალურ კომპოზიციებს და მიუსადაგეთ ფოტოებზე გამოსახულ შემსრულებელს, ისაუბრეთ მისი შესრულების სტილზე, ხმის ტემბრზე; გამოთქვით თქვენი ვარაუდი, რითი იყვნენ ისინი სხვებისგან გამორჩეულნი; რატომ შემორჩა დღემდე მათი სახელები იმ უამრავი შემსრულებლის სახელებისგან განსხვავებით, რომლებიც იმავე პერიოდში მოღვაწეობდნენ და საკმაოდ წარმატებითაც.

მოსმენილი კომპოზიციების მიხედვით, შეეცადეთ უჯრებში მოცემული ჟანრის განსაზღვრებები და მომღერლების კომპოზიციები დააკავშირეთ ერთმანეთთან.

შანსონი*
პოპი
სოული
ჯაზი

1. ფრენკ სინატრა – Fly Me To The Moon;
2. ედიტ პიაფი - La Vie En Rose;
3. ჯგუფი The Platters - Only You;
4. ელლა ფიცჯერალდი – Summertime;
5. ბენ ე. კინგი – Stand By Me;
6. ლუი არმსტრონგი – what a wonderful world;
7. ივ მონტანი – Sous le CIEL de Paris.

- რომელი სიმღერა მოგეწონათ? ახსენით, რატომ;
- მოსმენილი სიმღერებიდან, რომელიმე სიმღერა თუ იწვევს თქვენში ისეთ ემოციას, რომ აღარ მოგინდებათ განმეორებით მისი მოსმენა, ან, პირიქით, სიამოვნებით მოუსმენდით არაერთხელ? ახსენით, რატომ.

* **კაბარე** – პატარა რესტორანი ესტრადითურთ, სადაც იმართება სხვადასხვაგვარი წარმოდგენები (ცეკვა, სიმღერა და მისთ.).

პოპულარული მუსიკა, როგორც თაობებში არსებული განწყობების ამსახველი ჟანრი

საკვანძო სიტყვები

დისკო; რიტმი; მელოდია; ჰარმონია.

1 გავიგოთ, რა მუსიკალურ ჟანრები და სტილები იყო პოპულარული გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, რომელ ჟანრებს ანიჭებდნენ უპირატესობას ახალგაზრდები; შეიცვალა თუ არა მას შემდეგ თანამედროვე კომპოზიციებში რიტმი, ჰარმონია, რითი განსხვავდება დღევანდელი პოპმუსიკა 40-50 წლის წინანდლისგან; რას ენიჭებოდა უპირატესობა მაშინ და რას – ახლა – სასიმღერო მელოდიას, რიტმებს, ტემპს თუ ინსტრუმენტულ თანხლებას?

XX საუკუნის 70-იან წლებში დიდი პოპულარობა მოიპოვა საცეკვაო მუსიკის ერთ-ერთმა ჟანრმა – **დისკომ**. ის ერთდროულად განვითარდა აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში, პოპულარობის პიკს კი მიაღწია 1976-1981 წლებში. 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან, ხმისჩამწერი ტექნიკის განვითარებისა და ფრამფირფიტების გაყიდვის შემცირების გამო, დისკომ თანდათან დაკარგა პოპულარობა.

დისკოს მუსიკისთვის დამახასიათებელია საცეკვაო რიტმული მოძრაობები, ზომა 4/4.

მოისმინეთ ამ შემსრულებლების კომპოზიციები; ისაუბრეთ, რა გრძნობა დაგიტოვათ მოსმენილმა სიმღერებმა; დაახასიათეთ მუსიკა მელოდიის, რიტმის, ჰარმონიის მიხედვით; ივარაუდეთ, რომელი დეკადის მახასიათებლებს შეიძლება მიაკუთნოთ ისინი და ახსენით, რის მიხედვით გააკეთეთ არჩევანი.

ჯგუფი „აბბა“

ჯო დასენი

დემის რუსო

შარლ აზნავური და მირეი მატიე

ჯგუფი „ბონი-ემ“

თინა ტერნერი

თქვენი აზრით, ეს კომპოზიციები ერთი და იმავე დეკადას ეკუთვნის თუ არა?

განსხვავდება თუ არა ერთმანეთისგან სხვადასხვა ათწლეულის პოპმუსიკა? რა მახასიათებლების მიხედვით განსხვავდება?

ახსენით თქვენი პასუხი.

ფოტოზე გამოსახული მომღერლების თუ ჯგუფების მიერ შესრულებული კომპოზიციების მოსმენის შემდეგ, რომელ მუსიკალურ ჟანრსა თუ მიმდინარეობას მიაკუთვნებთ მათ?

მოიძიეთ ინფორმაცია მათ შესახებ.

2 ამერიკის შეერთებულ შტატებში 1940-50 წლებში შეიქმნა მრავალი სიმღერა, რომლებიც დღეს ე. წ. კლასიკური პოპის ნიმუშებად არის მიჩნეული. ამ პერიოდს როკმუსიკის წინა პერიოდს უწოდებენ. ეს სიმღერები დასახელებული ათწლეულის ახალგაზრდების განწყობას გადმოსცემდა. სწორედ ამ სიმღერების წყალობით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა ინტერესები ჰქონდათ მათ.

1. ენდი უილიამსი, „The day of wine and roses“;
2. პოლ ვენსი და ლი პორკისი, „Catch a Falling Star“;
3. ირვინგ ბერლინი, „A Couple of Swells“.

3 თქვენ წინაშეა ცხრილი, სადაც წარმოდგენილია ამ თაობის ზოგიერთი მახასიათებელი. ცხრილის რამდენიმე უჯრა ცარიელია, რომლებიც თავად უნდა შეავსოთ ქვემოთ მოცემული მახასიათებლებიდან. მოუსმინეთ ამ პერიოდში შექმნილ სიმღერებს, მათი განწყობის მიხედვით შეარჩიეთ სამი სათანადო მახასიათებელი და შეიტანეთ ცხრილის ცარიელ უჯრებში:

ცხრილი

რა თაობაა ეს?	პოპულაცია	მახასიათებლები
• გაიზარდნენ დიდი დეპრესიისა და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში; • ქმედებები განპირობებულია დიდი დეპრესიისა და მეორე მსოფლიო ომის დროს მიღებული გამოცდილებით; • ყველაზე მდიდარი თაობა; • ყველაზე კანონმორჩილი თაობა; • მამაკაცები მუშაობდნენ, ხოლო ქალები ოჯახს უვლიდნენ და შვილებს ზრდიდნენ.	• 55 მილიონი • პენსიონერების მაღალი პროცენტი	•
		•
		• კონსერვატორები (ყოველგვარი სიახლის მიმართ უნდობლად განწყობილნი და ჩამოყალიბებული შეხედულებების, ტრადიციების მიმდევრები და მხარდამჭერნი);
		• ყველაზე მომთმენნი;
		•
		• ტრადიციული ოჯახური ფასეულობების თაყვანიმცემლები;
		• თავგანწირულები.

მახასიათებლები:
- ცინიკური;
- სწრაფვა სიმარტივისკენ;
- ინიციატივიანი;
- ოპტიმისტური;
- სწრაფვა მშვიდი და ფინანსურად დაცული ცხოვრებისკენ;
- სკეპტიკური.

- რა შთაბეჭდილება შეგიქმნათ ამ თაობის შესახებ მოსმენილმა სიმღერებმა?
- როგორი მოგეჩვენათ სიმღერები? აირჩიეთ დახასიათება და ახსენით თქვენი პასუხი:

ა) მიამიტური	გ) ძნელად დასამახსოვრებელი
ბ) ლაღი	დ) მოსაწყენი

4 განმეორებით მოისმინეთ სამივე სიმღერა და უპასუხეთ კითხვებს:

- თქვენი აზრით, რა აქვთ ამ სიმღერებს საერთო?
- მიუთითეთ, რომელი სიმღერის მოტივი იყო ყველაზე ძნელად ან ყველაზე მარტივად ამოსაცნობი;
- რომელ სიმღერაშია გადმოცემული ყველაზე ღრმა განცდა? ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე;
- რომელი სიმღერა გაჟღერდა თავიდან ბოლომდე? ქვემოთ მოცემული ვარიანტებიდან, რომელია ამ სიმღერის სტრუქტურა?

ა) A-B-A-B-A; ბ) A A1 ½ A2; გ) I-A-A-B-b-A-A-B.

- რომელი სიმღერის ფრაგმენტია ქვემოთ წარმოდგენილი?



- როგორ ფიქრობთ, ერთი მოტივია აქ წარმოდგენილი თუ მეტი?

შეძლებისდაგვარად წაიმღერეთ ეს მოტივი.

5 როგორც უკვე აღინიშნა, ე. წ. როკის წინა პერიოდში (მე-20 საუკუნის 20-50-ანი წლები) შეიქმნა სიმღერები, რომლებიც კლასიკური პოპის სტანდარტად მიიჩნიეს. ეს იმას ნიშნავს, რომ, უპირველეს ყოვლისა, შეიქმნა სიმღერების აგებულების (სტრუქტურის) სტანდარტები, რომლებსაც დღესაც იყენებენ პოპმუსიკაში.

მოისმინეთ ფრაგმენტები კოლ პორტერის სიმღერიდან „Let's Do It".
ქვემოთ მოცემულია სქემა, რომლის თითოეული უჯრა ესადაგება ამ სიმღერის ფრაგმენტებს..

ნიმუშის მიხედვით ჩასვით ამ ფრაგმენტების ლიტერები სათანადო უჯრაში. თუ ამოიცნობთ, რომელი ფრაგმენტია, სქემის შევსება არ გაგიჭირდებათ.
სქემა:

შესავალი
Intro

- რომელი აუდიოფრაგმენტის მოტივები ჰგავს ერთმანეთს? დაასახელეთ ლიტერები;
- ისაუბრეთ, რა განსხვავებაა ამ ორ აუდიოფრაგმენტს შორის;
- რომელი ასოებითაა აღნიშნული ეს აუდიოფრაგმენტები სქემაში?
- რომელი აუდიოფრაგმენტი ჰგავს ნაწილობრივ ერთმანეთს? თქვენი აზრით, რითი ჰგავს?
- რომელი აუდიო ფრაგმენტი არ ჰგავს საერთოდ დანარჩენებს? რატომ?
- როგორ არის სქემაში ეს ფრაგმენტი აღნიშნული?
- რომელი ფრაგმენტების მოტივია წარმოდგენილი ამ სანოტო ჩანაწერში?



წაიმღერეთ ეს მოტივი.

კარგად დააკვირდით ქვემოთ მოცემულ სანოტო ჩანაწერს და გამოთქვით ვარაუდი, რამდენი მოტივისგან შედგება ეს მონაკვეთი (დაასახელეთ სწორი რიცხვი):

ა) 8; ბ) 4; გ) 5; დ) 7; ე) 6.



ქვემოთ მოცემულია სიმღერის „Let's Do It" სტრუქტურა. აუდიოფაილით მოუსმინეთ სიმღერას მთლიანად და ოთხი ვარიანტიდან შეარჩიეთ სწორი სტრუქტურა:

1) A-AA-A_1-B-A_2- A-A1-B-A_2; 2) I-A-B-A_1-A-B-A_1;

3) I-A-B-A_1-B-B-A 4) I-A-B-A_1-A-B-A

- როგორ ფიქრობთ, თაობის რომელ მახასიათებელს ესადაგება ეს სიმღერა? რატომ?
- სიმღერაში ხშირად მეორდება ერთი და იგივე მოტივი. როგორ აღწევს ავტორი იმას, რომ მსმენელს იგი არ სწყინდება?
- რა ინტერვალით იწყება ეს სიმღერა? ამ ინტონაციას, თითქოს სევდიანი ან ტრაგიკული განწყობა უნდა შემოეტანა, თქვენი აზრით, რა ეფექტს აღწევს ამ შემთხვევაში კომპოზიტორი და რის ხარჯზე?
- წინა აქტივობის მაგალითის მიხედვით, გამოსახეთ „Let's Do It" სიმღერის სტრუქტურა ლიტერებით.

6 ამ აქტივობაში ყურადღებას გავამახვილებთ ე. წ. კლასიკური პოპმუსიკის „ოქროს ხანის“ კიდევ ერთ მახასიათებელზე, რომელმაც ამ პერიოდის სიმღერები სტანდარტად აქცია. მოუსმინეთ ფილ მურის სიმღერას „Shoo Shoo Baby” და გაეცით პასუხი კითხვებს:

- რა აქვს საერთო ამ სიმღერას კოლ პორტერის სიმღერასთან „Let’s do it“?
- რა მოგეჩვენათ უჩვეულო ამ სიმღერაში?

მოტივი | რიტმი | სტრუქტურა

ტაშით შეასრულეთ ქვემოთ მოყვანილი რიტმული ფიგურაცია და დაითვალეთ:

ა



დააკვირდით, როგორაა გადანაწილებული მეტრული აქცენტები. ასეთ რიტმს **სინკოპა** ეწოდება.

თქვენი ვარაუდით, რატომაა ნოტი წითლად გაფერადებული, რას უნდა ნიშნავდეს ეს?

დაიმახსოვრე!

სინკოპა – მუსიკალური მახვილის გადანაცვლება ტაქტის ძლიერი დროდან სუსტზე; ეს ნიშნავს, რომ რიტმული და მეტრული აქცენტები ერთმანეთს არ ემთხვევა. სინკოპა ბერძნული სიტყვაა და სიტყვასიტყვით ჩამოთლას, გადანაცვლებას ნიშნავს.

ძლიერი და სუსტი წილების თანაბარ მონაცვლეობას **მეტრი** ეწოდება.

მუსიკალური მეტრი მრავალგვარია, ამის გათვალისწინებით, წილი შეიძლება იყოს ძლიერი და სუსტი. ძლიერი წილი ყოველთვის აქცენტირებულია, სუსტი კი – არა. მაგალითად, ვალსში, გვესმის მონაცვლეობა – ერთი, ორი, სამი. აქედან პირველი თვლა (ერთი) უფრო გამოკვეთილია, მას ძლიერ დროს ვუწოდებთ, რომელიც მთელი ნაწარმოების მანძილზე თანაბარი ინტერვალით ისმის. ვალსში გვესმის სამი ნაბიჯის მონაცვლეობა, **ძლიერი**-სუსტი-სუსტი – **ერთი**-ორი-სამი. ამას ვიზუალურადაც ვიგრძნობთ მოცეკვავე წყვილის მოძრაობისას. ეს არის ერთგვაროვანი მეტრი, ნაბიჯები, რომლებიც გამოიხატება, ძირითადად, მეოთხედი ბგერების ხანგრძლივობით.

დააკვირდით, როგორ ნაწილდება მეტრული აქცენტები სინკოპის შემთხვევაში ძლიერი და სუსტი დროის წილებთან შეფარდებით, ორწილად და ოთხწილად ზომაში:





შეასრულეთ ეს რიტმული ფიგურაცია წყვილში.

7 მოუსმინეთ კიდევ ორ სიმღერას: ლაიონელ ბელასკოს და ლორდ ინვეიდერის „Rum and Coca-Cola"; ბენ ოკლანდის და მილტონ დრეიკის „Java Jive" „(ჟავა ჟივე").
რომელ სიმღერაში გესმით სინკოპა?

ამ ორივე სიმღერაში აშკარად ისმის, რომ ტექსტის მეტრი გადამწყვეტ როლს ასრულებს. როგორ ფიქრობთ, რა დატვირთვა აქვს ტექსტს სიმღერაში „Rum and Coca-Cola"?

- რა განწყობას გადმოსცემს ეს სიმღერა?
- რას განაპირობებს ტექსტის მეტრი სიმღერაში „Java Jive"? გამოთქვით ვარაუდი, რა ტიპის რიტმია ამ სიმღერაში? შეარჩიეთ სწორი პასუხი:

ა სინკოპა | ბ თანაბარი გრძლიობების რიტმი | გ პუნქტირული რიტმი

- რა ეფექტს აღწევს ეს რიტმი სიმღერაში?
- თაობის რა მახასიათებელს დაუკავშირებდით ამ სიმღერებს?

8 კლასიკური პოპსიმღერების კიდევ ერთი თვისება არის ის, რომ, როკის სტილის სიმღერების უმრავლესობისგან განსხვავებით, იძლევა სხვადასხვა ინტერ-პრეტაციის საშუალებას. ამიტომაცაა, რომ არაერთი გამოჩენილი მომღერალი ასრულებს ერთი და იმავე სიმღერას საკუთარი ინტერპრეტაციით.

მოუსმინეთ ერთ-ერთი ცნობილი სიმღერის „As time goes by“ (კომპოზიტორი **ჰერმან ჰაპფელდი**) ორ ინტერპრეტაციას ბილი ჰოლიდეისა და ჯიმი დიურანტეს შესრულებით; ვიდრე ჩანაწერებს მოუსმენდეთ, დააკვირდით ამ სიმღერის შემსრულებლების ფოტოებს და ივარაუდეთ, როგორ შესრულებას ელოდებით ამ მომღერლებისგან.

ახსენით თქვენი მოსაზრება.

ჰერმან ჰაპფელდი
1894-1951

ბილი ჰოლიდეი
1915-1959

ჯიმი დიურანტე
1893-1980

აუდიოჩანაწერით განმეორებით მოუსმინეთ სამი კომპოზიციის ფრაგმენტებს: კოლ პორტერი, „Let’s do it“, ფილ მური, „Shoo Shoo Baby“, ოკლანდი და მ. დრეიკი „Rum and Coca-Cola“. დააკვირდით ქვემოთ რიტმების ჩანაწერს, ამოიცანით, რომელ ნოტებზეა სინკოპირებული რიტმი და დაასახელეთ, რომელი რიტმული ნახაზი რომელი სიმღერიდანაა:

ა

ბ

გ

- ლიტერით აღნიშნეთ, რომელი რიტმი რომელ ნომრად მოსმენილ კომპოზიციას ეკუთვნის;
- დაასახელეთ, რომელი კომპოზიციის რიტმული ფიგურაციაა თქვენთვის ყველაზე საინტერესო და რატომ;
- ტაშით დაითვალეთ თითოეული მაგალითი, მიუთითეთ იმ სანოტო ჩანაწერ(ებ)ზე, სადაც სინკოპირებული რიტმია.

9 კომპლექსური დავალებისთვის ქვემოთ მოცემულია კითხვები, რომლებსაც უნდა უპასუხოთ ოთხივე ინტერპრეტაციის მოსმენის შემდეგ. შემსრულებლების გრაფაში ჩაწერეთ ✓ ნიშანი და, სადაც კითხვა მოითხოვს, ახსენით თქვენი ვარაუდი.

№	კითხვები	ბილი ჰოლიდეი	ჯიმი დიურანტე
1	ვისი შესრულებით მოგეწონათ სიმღერა ყველაზე მეტად? ახსენით, რატომ.		
2	რომელიმე შესრულებისას დაგებადათ თუ არა დიალოგის შეგრძნება – თითქოს მომღერალი რაღაცას უზიარებს მსმენელს? როგორ აღწევს ამას შემსრულებელი?		
3	რომელი შესრულება ჟღერს როგორც მონოლოგი, თითქოს შემსრულებელი მხოლოდ თავისთვის მღერის, ყურადღებას არც კი აქცევს მსმენელს? რა ხერხებით აღწევს შემსრულებელი ამ ეფექტს?		
4	შემსრულებლებმა თავიანთი ჩანაფიქრის მიხედვით შეცვალეს სიმღერის ფორმა. რა ფორმა აქვს სიმღერას თითოეული მომღერლის შესრულებით? გამოსახეთ ლიტერებით ორივეს სტრუქტურა.		
5	როგორ ფიქრობთ, ფორმის შეცვლით სიმღერამ დაკარგა თუ არა რაიმე?		
6	როგორ შეიძლება შეიცვალოს სიმღერის ემოციური მუხტი?		

მოისმინეთ ჯასტინ ბიბერის სიმღერა – Never Say Never (არასოდეს თქვა არასოდეს) და ივარაუდეთ, პოპმუსიკის რომელ მიმდინარეობას მიეკუთვნება ის; დაასახელეთ ის დეკადა (ათწლეული), რომლის მახასიათებლებიც, თქვენი აზრით, მიესადაგება ამ კომპოზიციას. ახსენით თქვენი პასუხი.

დაასახელეთ ამ მიმდინარეობის სხვა მუსიკალური მაგალითები და თქვენთვის ნაცნობი შემსრულებლები.

10 გასული საუკუნის 40-იან წლებში პოპმუსიკაში სერიოზული გარდატეხა მოხდა. სწორედ ამ წლებში შეიმჩნევა ნიშნები იმისა, რომ მალე უნდა დადგეს როკენროლის ხანა, რომელმაც მთლიანად შეცვალა პოპმუსიკის სახე. ინგლისური ბალადის, ებრაული კლეზმერის (კლეზმერები იყვნენ ებრაელი მუსიკოსები, რომლებიც უკრავდნენ ქორწილებსა და სხვადასხვა დღესასწაულზე), ევროპელი ხალხების მუსიკალური ინტონაციებით გაჯერებულ მელოდიებსა და დახვეწილ ჯაზურ ჰარმონიებს ნელ-ნელა ენაცვლება უფრო მარტივი, ადვილად დასამახსოვრებელი, ანგლო-კელტურ ფოლკლორზე აგებული კოვბოური სიმღერები, რაც **ქანთრი** სტილით არის ცნობილი. რა თქმა უნდა, ეს სტილი უკვე დიდი ხანი არსებობდა ამერიკულ მუსიკაში, მაგრამ საყოველთაო პოპულარობას მან ზუსტად ორმოციანი წლების მიწურულსა და ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში მიაღწია.

„ქანთრი“ სტილს ახასიათებს ენერგიული, სიცოცხლით სავსე მელოდიები, მარტივი ჰარმონიები და მკვეთრი საცეკვაო რიტმი. ამ მიმართულებამ მოამზადა სათანადო ნიადაგი როკენროლის გამოჩენისთვის. მოუსმინეთ ორმოციანი წლების რამდენიმე სიმღერის ფრაგმენტებს, შეადარეთ ერთმანეთს; დააკვირდით, როგორ მარტივდება ამ სიმღერების მუსიკალური ენა.

1949 წელს აბსოლუტური ლიდერი ხდება ქანთრი სტილში შექმნილი სიმღერა „Lovesick blues“, რომელიც პოპმუსიკაში ახალი ხანის დადგომას მოასწავებდა. დანარჩენი ორი სიმღერა სხვადასხვა წლის ჰიტებია. მოსმენისას შეეცადეთ ამოიცნოთ, რომელი წლის ჰიტი შეიძლება იყოს თითოეული მათგანი, რომელი მიეკუთვნება კლასიკურ პოპმუსიკას და რომელი – ჯაზს; თქვენი ვარაუდით დაალაგეთ ეს სიმღერები მუსიკალური ენის სირთულის მიხედვით – რთულიდან მარტივამდე.

1. ჯული სტაინი და სემი კანი – „Five minutes more“ (კიდევ ხუთი წუთი).
2. კლიფ ფრენდი და ირვინგ მილსი – „Lovesick blues“ (ბლუზზე შეყვარებული);
3. ჰეროლდ ერლენი და ტედ კოხლერი – „Stormy weather“ („ქარიშხლიანი ამინდი“).

გადაიტანეთ ცხრილი რვეულში და ჩაწერეთ სათანადო სიმღერის ნომერი (ერთი სიმღერის ნომერი უკვე ჩაწერილია):

წელი	სიმღერის ნომერი
1942	
1946	
1949	N2

ვიდრე მასწავლებელი სწორად შევსებულ ცხრილს გაგაცნობთ, უპასუხეთ კითხვებს:

- რა დაგეხმარათ ცხრილის შევსებაში?
- აქტივობის პირობიდან გამომდინარე, სიმღერა N2 არის „ქანთრი“ სტილში შექმნილი. თქვენი აზრით, რომელი სიმღერა ჰგავს ამ სიმღერას ყველაზე მეტად ან ნაკლებად? რატომ?
- ამ კითხვებზე პასუხის შემდეგ თუ შეცვალეთ რაიმე თქვენს ცხრილში? ახსენით.

გაეცანით სწორად შევსებულ ცხრილს.

- შეადარეთ თქვენ მიერ შევსებული ცხრილი სწორად შევსებულს. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია თქვენი შეცდომები?

პოპმუსიკის ზოგიერთი მიმდინარეობის მახასიათებლები და სხვადასხვა თაობის განმასხვავებელი თვისებები

საკვანძო სიტყვები

როკენროლი; ბლუზი; როკი, პოპი.

1 1940-1950-იან წლებში მუსიკის მოყვარული მოზარდები ახალ სტილს, ახალ ინტონაციებს, ახალ შეგრძნებებს ეძებდნენ. ფართო მასებში თანდათან დიდი პოპულარობა მოიპოვა ისეთმა მიმდინარეობებმა, როგორებიცაა: დისკო, ჯაზი, როკენროლი, როკი და სხვ., რომელებიც იმ თაობის გრძნობებსა და მისწარაფებებს ეხმიანებოდა.

როკი აფროამერიკული მუსიკის, გოსპელის, რიტმ-ენდ-ბლუზის, ბლუზისა* და ამერიკული „ქანთრი“ მუსიკის შერწყმის შედეგად წარმოქმნილი მიმდინარეობაა. კომპოზიციები გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული რიტმით, უმეტესად, სწრაფი ტემპითა და ერთგვარი გამომწვევი ხასიათით.

ბილ ჰელი
1925-1981

ზოგი აფროამერიკელი მუსიკოსი უკვე 1920-1930-იან წლებშიც უკრავდა როკენროლის მუსიკას ისე, რომ ეს გაცნობიერებული არც კი ჰქონდა, თუმცა ამ მუსიკის წარდგენა მსმენელთა ფართო საზოგადოებისათვის თეთრკანიან მუსიკოსებს ხვდათ წილად. 1954 წელს ბილ ჰეილი (Bill Haley) საზოგადოების წინაშე წარსდგა სიმღერით „Rock Around The Clock“ („როკი შეუჩერებლად“), რომელსაც არნახული წარმატება ჰქონდა.

მოუსმინეთ ამ კომპოზიციას და თქვენც აჰყევით ხმითა და მოძრაობით.

---

* **ბლუზი** – (ინგ. blues – სევდა), მუსიკის ფორმა და მუსიკალური ჟანრი, აფროამერიკული ლირიკული სოლო სიმღერა. აღმოცენდა XIX ს-ის II ნახევარში აშშ-ს სამხრეთში; დაფუძნებულია სამსტროფიანი ლექსის ფორმაზე. ბლუზი არის მაჟორულ-მინორული კილოს სინთეზი, აქვს თავისი კილო, რომელსაც „Blue“ კილოს უწოდებენ, სადაც III, V, VII საფეხურები დადაბლებულია. ამიტომაც არის ბლუზი სევდიანი განწყობის. მელოდიისთვის დამახასიათებელია კითხვა-პასუხის სტრუქტურა. დასაწყისში სრულდებოდა ბანჯოს ან გიტარის აკომპანემენტით, შემდგომში – ფორტეპიანოსა და ინსტრუმენტული ანსამბლის თანხლებითაც. მოგვიანებით შერეულ იქნა სხვა ჟანრებთან, როგორებიცაა ჯაზი, რიტმ-ენდ-ბლუზი და როკენროლი.

1954 წელს ასპარეზზე გამოჩნდა ელვის პრესლი, „საძაგელი“ ბიჭის უკმაყოფილო გამოხედვით, მაცდუნებელი ღიმილითა და ხავერდოვანი ხმით. იგი შესანიშნავად უხამებდა ერთმანეთს სვინგს, გოსპელსა და კოვბოების სერენადას. მის მუსიკაში შეზავებული იყო როკის შემადგენელი ელემენტები. მილიონობით მოზარდი მას ბაძავდა ჩაცმულობით, ვარცხნილობით, სიარულისა და ცხოვრების წესით: ჯინსი, ტყავი, გადაგლესილი თმა, ე. წ. „ბანანი“, გამომწვევი პოზები და სხვ.

ელვის პრესლი
1935-1977

ელვის პრესლისა და ბრწყინვალე მუსიკოსების მიერ შექმნილი კომპოზიციები იყო თეთრკანიანთა დახვეწილი, მელოდიური ფერმერული სიმღერების, აფროამერიკელთა სინკოპირებული რიტმებისა და ბლუზის ნარევი.

ეს სრულიად ახალი ფორმა შეიძლება როკენროლის საწყის წერტილად მივიჩნიოთ. სიმღერა „That's All Right Mama“ (ყველაფერი კარგადაა, დედა“) უმალ სენსაციად იქცა. პრესლიმ ძალიან სწრაფად გაითქვა სახელი აშშ-ს სამხრეთ შტატებში; მალევე ის „როკენროლის“ მეფედ აღიარეს და მთელ მსოფლიოში თაყვანისცემის საგნად იქცა როგორც სიცოცხლეში, ისე სიკვდილის შემდეგ.

ტერმინი – „როკენროლი“ – პირველად 1955 წელს ქალაქ კლივლენდის დისკოთეკის ენერგიულმა დისკ-ჟოკეიმ, ალან ფრეიდმა, გააჟღერა. მან ბევრი რამ გააკეთა ახალი მუსიკალური სტილის პოპულარიზაციისთვის, რომელსაც იმ დროს ამერიკის შეერთებული შტატების კონსერვატიული საზოგადოებისგან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა.

როკენროლი, რომელიც უფროსმა თაობამ თავიდანვე ცუდად მიიღო, კარგად გამოხატავს მოზარდთა მისწრაფებებს, რაზეც 1957 წელს მღეროდა **ჩაკ ბერი** სიმღერაში „School Days“ (სკოლის დღეები):

„როდესაც ჯუკბოქსის (მუსიკალური აპარატის) ჭრილში მონეტას აგდებ, რაღაც ისეთის მოსმენა გსურს, რაც სცილდება გონიერების საზღვრებს. შენ იმის შებმას ცდილობ, ვინც გიყვარს, რადგან მთელი დღე ცეკვაზე ოცნებობდი“.

ჩაკ ბერი
როკენროლის ერთ-ერთი
მამამთავარი
1926-2017

ეს გიტარისტი და მომღერალი როკენროლის იმ ასეულობით ნიმუშის შემქმნელია, რომელთაც უდიდეს წარმატებას მიაღწიეს. მათ შორისაა „Johnny B.Goode“. იგი შთაგონების წყარო გახდა მრავალი ინგლისური როკ-ჯგუფის, მათ შორის The Beatles-ისა და Rolling Stones-ისათვის.

მოისმინეთ კომპოზიციები: ელვის პრესლი – „That's All Right Mama“; „Can't Help Falling In Love“; ჩაკ ბერი – „Johnny B.Goode“.

- რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ სიმღერებმა თქვენზე?
- 40-50-იანელმა ახალგაზრდებმა უცბადვე აიტაცეს ახალი მუსიკალური მიმართულება; თქვენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი:

ა) ახალგაზრდების პროტესტი, წინა თაობის მიერ დაწესებული კანონების დაცინვა;
ბ) თავისუფლების გამოვლენა;
გ) თვითდამკვიდრების საშუალება;
დ) სამივე ერთად.

ხელოვნების ყველა დარგს შორის მუსიკა კომუნიკაციის საუკეთესო ფორმაა, რომელსაც არ გააჩნია ენობრივი ბარიერი; მუსიკა ტექსტის გარეშეც აღძრავს ემოციებს.

1 1960-იანი წლების დასაწყისში როკენროლის სტილისტური საზღვრები გაფართოვდა და აღმოცენდა დამოუკიდებელი ჟანრი – **როკმუსიკა**. „როკმუსიკა“ პოპულარული მუსიკის სხვადასხვა მიმართულების საერთო დასახელებაა.

მთელ მსოფლიოში როკმუსიკას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. ეს ჟანრი დიდ სოციალურ-კულტურულ მოვლენად იქცა. იგი ყოველი ახალი თაობის განწყობის მიხედვით იცვლება, დასახელებებს იცვლის, თითქოს ერთმანეთს ეწინააღმდეგება კიდეც, მაგრამ თავისი არსით უცვლელი რჩება.

თანამედროვე როკმუსიკის მრავლისმომცველობამ ის მუსიკალური ხელოვნების ისეთ განსაკუთრებულ და მრავალფეროვან ფორმად აქცია, რომელსაც უნარი შესწევს, გაითავისოს ბლუზის, ფოლკის, ლათინური რიტმების, ჯაზისა და კლასიკური მუსიკის ელემენტებიც კი.

თვალყური მივადევნოთ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მის ევოლუციას, გავიცნოთ რამდენიმე გამოჩენილი მუსიკოსი, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით ღრმა კვალი დატოვეს პოპმუსიკის სხვადასხვა მიმდინარეობის განვითარებაში.

დასაწყისისთვის ყურადღება გავამახვილოთ, ძირითადად, ინგლისურენოვან – ამერიკულ და ბრიტანულ – პოპულარული ჟანრის მუსიკაზე, რადგან სწორედ მან იქონია გავლენა მთელი მსოფლიოს მუსიკალურ კულტურაზე.

როკმუსიკის სერიოზული ჩანასახი ჯერ კიდევ 1951-1952 წლებში გაჩნდა, როდესაც ახალგაზრდა ამერიკელმა მომღერალმა ლითლ რიჩარდმა ზანგურ რიტმ-ენდ-ბლუზში (R&B) ცვლილებების შეტანა დაიწყო.

ლითლ რიჩარდი
1932-2020

რიტმ-ენდ-ბლუზი პოპულარული აფროამერიკული მუსიკალური სტილი, რომელიც წარმოიშვა 1940-1950-იან წლებში აშშ-ში. საკრავებიდან ძირითადად გამოიყენებენ: დასარტყამ დანადგარს, ბასგიტარას, კლავიშებიან საკრავს, ელექტროგიტარას. თანამედროვე R&B აერთიანებს სოულის, ფანკის, საცეკვაო მუსიკისა და ჰიპ-ჰოპის ელემენტებს.

1. ლითლ რიჩარდი – „Tutti Frutti“;
2. ჯიმი ჰენდრიქსი – „Purple Haze“ („მეწამული ნისლი“).

1969 წლის 14 აგვისტოს, ნიუ-იორკიდან 120 კილომეტრის დაშორებული ფერმის ტერიტორიაზე სამდღიანი ვუდსტოკის როკმუსიკის ფესტივალი გაიმართა, რომელმაც ამერიკის ისტორიაში რეკორდული რაოდენობის მსმენელი მიიზიდა – თითქმის 500 000 კაცი.

კოკისპირულ წვიმაში გვარიანად გალუმპული მაყურებელი სიხარულით მიესალმა სცენაზე გამოსულ **ჯიმი ჰენდრიქსს**, იმ დროის საუკეთესო გიტარისტს, რომელმაც შეასრულა სიმღერა Purple Haze. ჰენდრიქსის მუსიკა, ისევე როგორც თვით ვუდსტოკის ფესტივალი, შემობრუნების მომენტად იქცა როკმუსიკის ისტორიაში. ამ მუსიკოსის შესრულების სრულიად ახლებურმა მანერამ მას საყოველთო პოპულარობა მოუტანა. ნათელი გახდა, რომ როკმუსიკა პოპულარული გართობიდან სერიოზულ ხელოვნებად იქცა.

ჯიმი ჰენდრიქსი
1942-1970

- დაახასიათეთ ეს კომპოზიციები რიტმის, ხასიათის მიხედვით; ისაუბრეთ, რა გრძნობებს აღძრავს თქვენში, რა მახასიათებლებით ჰგვანან ან განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან;
- თქვენი აზრით, რომელ კომპოზიციას მიესადაგება ქვემოთ მოყვანილი ფრაზები:

ა) ემოციური აფეთქება; მისი მოსმენისას ემოცია ტექსტის გარეშეც აღიძვრება;
ბ) საკუთარი განცდების წინა პლანზე წამოწევა, გატაცებები, სიყვარული;
გ) ორივეს;
დ) არცერთს.

მოისმინეთ ერთ-ერთი სიმღერის რიტმი და ამოიცანით, რომელს ეკუთვნის მოსმენილი ორი კომპოზიციიდან.

THE BEATLES

2

1960 წელს ინგლისის ჩრდილოეთში მდებარე მუშათა ქალაქ ლივერპულში შეიქმნა ჯგუფი The Beatles.

1965 წელს ჯგუფის წევრები ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალრები გახდნენ. დედოფალმა ელისაბედ II-მ ისინი მადლობის ნიშნად დააჯილდოვა იმ სავალუტო შემოსავლებისათვის, რითაც მათ სამეფო ხაზინა გაამდიდრეს.

თქვენი აზრით, რა იყო ჯგუფის ესოდენ დიდი წარმატების მიზეზი? რა იყო მათ შესრულებაში ახალი და განსაკუთრებული? დაახასიათეთ მათი შესრულების სტილი.

მოისმინეთ „ბითლზების“ შესრულებით სიმღერა „Something“.

- გაიხსენეთ, რა სიმღერების მოგისმენიათ ამ ჯგუფის შესრულებით;
- არის თუ არა თქვენთვის საინტერესო ეს კომპოზიციები;
- ისაუბრეთ, რომელი მოგწონთ ყველაზე მეტად და რატომ;
- რითი განსხვავდება „ბითლზის“ სიმღერები სხვა შემსრულებლების კომ-პოზიციებისგან;
- დაახასიათეთ მათი შესრულების მანერა, რიტმის, ჰარმონიისა და სხვა საშემსრულებლო-გამომსახველობითი ხერხების მიხედვით.

Deep Purple – ინგლისური როკ-ჯგუფი ითვლება მძიმე მეტალისა და მძიმე როკის ერთ-ერთ პიონერად, თუმცა თვლიან, რომ მისი მუსიკა რომელიმე ჟანრს არ მიეკუთვნება. გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნის მიხედვით, 1975 წელს Deep Purple ითვლებოდა მსოფლიოს ყველაზე ხმაურიან ჯგუფად.

მოისმინეთ Deep Purple-ს კომპოზიცია „Smoke On The Water“.

3

„ბითლზთან“ ერთად გამოჩნდა ჯგუფი „როლინგ სტოუნზი“. მათ მალევე მოიპოვეს პოპულარობა. მათი სიმღერის მანერა და შინაარსი მკვეთრად განსხვავდებოდა „ბითლზის“ სტილთან.

„როლინგ სტოუნზი“ (Rolling stones) 1962 წელს ჩამოყალიბდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც რკინიგზის სადგურზე შემთხვევით ერთმანეთს შეხვდნენ მიკ ჯაგერი და კიტ რიჩარდსი – კლასელები, რომელთაც ერთმანეთი სკოლის დამთავრების შემდეგ არ ენახათ. ძველმა მეგობრებმა მალე აღმოაჩინეს, რომ ორივენი მუსიკოსობდნენ და ორივეს ერთნაირი მუსიკა უყვარდა. ეს საკმარისი აღმოჩნდა ჯგუფის ჩამოსაყალიბებლად.

მიკ ჯაგერი (ვოკალი), კიტ რიჩარდსი (გიტარა, ვოკალი), ბრაიან ჯონსი (გიტარა), ბილ ვაიმენი (ბასგიტარა), ჩარლი უოტსი (დასარტყამი ინსტრუმენტები) – აი, ესენი შეადგენდნენ „როლინგ სტოუნზს“, რაც ქართულად ალბათ შეიძლება ვიგინდარებად ითარგმნოს. „ვიგინდარებს“ თითქოსდა წარმატების მიღწევის არავითარი შანსი არ ჰქონდათ. ისინი არ იყვნენ ვირტუოზი შემსრულებლები, მაგრამ, ამის მიუხედავად, „როლინგები“ ყველა წინააღმდეგობას წარმატებით უმკლავდებოდნენ, წინ მიიწევდნენ გიჟური ტემპით, ყოველი ცდუნებისა და განსაცდელის შემდეგ კიდევ უფრო ძლიერდებოდნენ და კიდევ უფრო კარგ მუსიკას ქმნიდნენ.

მოისმინეთ ან ნახეთ ვიდეოჩანაწერი – Rolling stones - „I cant get no“.

შეაფასეთ ჯგუფის გამოსვლა; თქვენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ ეს ჯგუფი 50 წელიწადზე მეტია სცენაზეა და მათ კონცერტებზე, როგორც იტყვიან, ნემსი არ ჩავარდება?

მოისმინეთ რიტმული ფრაგმენტები Deep Purple-სა და Rolling stones-ს კომპოზიციებიდან; პარალელურად დააკვირდით ქვემოთ მოცემულ სანოტო ჩანაწერს და ამოიცანით, მოსმენილი სიმღერებიდან რომელი ჯგუფის კომპოზიციის დასაწყისის რიტმული ფიგურაციაა:



მიკ ჯაგერი

კიტ რიჩარდსი

ბრაიან ჯონსი



ბილ ვაიმენი



ჩარლი უოტსი

ქართული პოპულარული მუსიკა გუშინ და დღეს

1

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული მუსიკა დაახლოებით იმ სცენარით განვითარდა, როგორც დანარჩენი მსოფლიოს დიდ ნაწილში – ეროვნული კოლორიტი იმ დროისთვის მოდურ საერთაშორისო სტილებსა და მიდგომებს შეერწყა და შედეგად მოგვცა ნამუშევრები, რომლებიც, ერთი მხრივ, ქართული ფოლკლორული ელემენტების წყალობით, თვითმყოფადი იყო და, მეორე მხრივ, ასე თუ ისე, ახალ მიმდინარეობებსაც უბამდა მხარს.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, პოპმუსიკას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. ეს ჟანრი თავიდანვე დიდ სოციალურ-კულტურულ მოვლენად იქცა.

თანამედროვე პოპმუსიკა ჩამოყალიბდა ისეთი ჟანრის პარალელურად, როგორიცაა როკმუსიკა. მანამდე კი, 1940–1950-იანი წლებიდან, და უფრო ადრეც, დამკვიდრებული იყო ე. წ. ტრადიციული პოპი, ჩვენთან მას „საესტრადო მუსიკას“ ვუწოდებთ.

ქართული ჯაზის დაბადება ჯანო ბაგრატიონი უფროსის სახელს უკავშირდება, რომლის თაოსნობითაც 1945-46 წლებში პირველი ქართული ჯაზ-ორკესტრი ჩამოყალიბდა.

მოისმინეთ რამდენიმე სიმღერა გასული საუკუნის 50-60-იანი წლების ქართული ესტრადის ნიმუშებიდან; ისაუბრეთ მოსმენილზე, რიტმებზე, ტექსტების შინაარსზე და ა.შ.

გამოთქვით თქვენი მოსაზრება: რამდენად ეტყობა ქართულ ესტრადას ევროპული და ამერიკული პოპმუსიკის გავლენა?

1. „ყვავილების მეუფე“ („ყვავილების ქვეყანა“) ჯანო ბაგრატიონის შესრულებით;
2. გეპეის კვარტეტი – „აიმ, მთაზედა“;
3. გიული ჩოხელი – „მოგონება“;
4. სულიკო კოროშინაძე – „მე თბილისელი ბიჭი ვარ“.

თამაზ ცინცაძე,
გურამ ბაკურაძე,
შოთა ხარაბაძე,
გურამ ბზვანელი

„გეპეის“ ანუ სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის კვარტეტი 1954 წელს შეიქმნა. კვარტეტი 1950-იანი წლების მეორე ნახევარში ისეთი პოპულარული გახდა, რომ მოსკოვში, ხალხით გადაჭედილ დარბაზებში, მის კონცერტებს ცხენოსანი მილიცია იცავდა.

ორმოციანი წლების ბოლოსა და ორმოცდაათიანების მეორე ნახევარში გადაღებული ფილმებით: „ბედნიერი შეხვედრა“ და „საბუდარელი ჭაბუკი“, მთელმა საქართველომ გაიცნო ვალერიან ძაგნიძისა და შალვა ჩხიკვაძის 1938 წელს ჩამოყალიბებული დუეტი.

ამ დუეტის ორხმიანმა ვოკალურმა ჰარმონიამ და ორ გიტარაზე შესრულების სხარტმა, ჯანგო რეინჰარდტისეულმა მანერამ ნამდვილი გადატრიალება მოახდინა მაშინდელ ქართულ მუსიკაში. იმ დროს პოპულარული კომპოზიციების მათეული ინტერპრეტაციები და ცნობილ მელოდიებზე შეთხზული ფელეტონები ქართული სიმღერის კლასიკად იქცა და დღესაც კი არ ჟღერს მოძველებულად.

მოისმინეთ სიმღერა „ყაყაჩო“ ვალერიან ძაგნიძისა და შალვა ჩხიკვაძის შესრულებით.

ანსამბლი „ორერა“ 1958 წელს ჩამოყალიბდა, თუმცა, მისი ოფიციალური შექმნის თარიღად 1961 წელი ითვლება. „ორერა“ იყო პირველი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი მთელ საბჭოთა კავშირში.

ნანი ბრეგვაძე

ვახტანგ კიკაბიძე

„ორერას“ პირველი წევრები იყვნენ რობერტ ბარძიმაშვილი, თეიმურაზ დავითაია, ზურაბ იაშვილი და თამაზ ფანჩვიძე.

ანსამბლი „ორერა“ – „მთები“;
„ბიჭიკოს სიმღერა“ კ/ფ-დან „უდიპლომო სასიძო“ (კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე) სულიკო კოროშინაძის შესრულებით;
ინოლა გურგულია – „მოვალ“, „ძეგლად გადმომეფარე“;
ანსამბლი „75“ – „ქარი“;
ანსამბლი „ივერია“ – „სიმღერა საქართველოზე“.

- თქვენ მოისმინეთ სიმღერები, რომლებიც 50-60-70-იან წლებშია შექმნილი; როგორ ფიქრობთ, რომელი სიმღერა რომელ დეკადას მიეკუთვნება? გაიხსენეთ ამ დეკადების მახასიათებლები;
- მოსმენილი სიმღერების შთაბეჭდილებიდან გამომდინარე, დაახასიათეთ ამ პერიოდის ქართული პოპულარული მუსიკა მელოდიის, რიტმის, ჰარმონიის მიხედვით. რა მსგავსებას და განსხვავდებას ამჩნევთ?
- რომელი სიმღერა მოგწონთ ყველაზე მეტად? რომელი სიმღერა უფრო ახლოსაა თქვენს განწყობასთან? რომელს მოუსმენდით ხშირად?
- რომელ კომპოზიციაშია გამოყენებული სინკოპირებული რიტმი?

თქვენი აზრით, იგრძნობა თუ არა ქართულ პოპულარულ მუსიკაში ამერიკული და ევროპული პოპმუსიკის გავლენა? რაში გამოიხატება ის?

2

მოისმინეთ რევაზ ლაღიძის სიმღერა „თოვლის ფიფქი“ კ/ფ-დან „ყვავილი თოვლზე“ (ტექსტი პეტრე გრუზინსკის). შეისწავლეთ ეს სიმღერა და ისაუბრეთ თქვენს შეგრძნებებზე.

გარეთ თოვს და გულში მაინც დარია,
შენთან მოვალ, შენკენ მომიხარია,
თოვლის ფიფქი თავნება ტუჩებზე რომ მადნება,
შენი კოცნა მგონია.

მისამღერი
დილა ოდელა, დილა ოდელა, ნანა,
დილა ოდელა, დილა ოდელა, ნანა,
დილა ოდელა, ნანინა, დილა ოდელა, ნანინა,
აბა, ოდელა, დელი ოდელა.



თოვლი, როგორც ზამბახების ფანტელი,
ზედ მეყრება ციდან, მაგრამ რამდენი!
თოვლის ფიფქი თავნება, ტუჩებზე რომ მადნება,
როგორც შენი ამბორი,
თოვლის ფიფქი თავნება, ტუჩებზე რომ მადნება,
როგორც შენი ამბორი.

მისამღერი
დილა ოდელა, დილა ოდელა, ნანა...
გარეთ თოვს და გულში მაინც დარია,
შენთან მოვალ, შენკენ მომიხარია.

3

ჯგუფი „მგზავრები“

ნინო ქათამაძე

ჯგუფი „მგზავრები“ – „გაიღვიძა ბუნებამ“; გ. ყანჩელი – „საით მიდიხარ“, „შენ ერთადერთი“;

ნახეთ ვიდეოკადრები ნინო ქათამაძისა და ჯგუფ „ინსაითის“ საკონცერტო გამოსვლიდან – „ახ, ტურფავ, ტურფავ“.

- თქვენი აზრით, რომელი სიმღერა იყო ემოციურად ყველაზე მეტად დამუხტული?
- რომელ სიმღერაში მეტად ჩანს ეთნოინტონაციები?
- თქვენი აზრით, რატომ გამოიყენა შემსრულებელმა ასეთი ფორმა? როგორ ფიქრობთ, ფორმის შეცვლამ მისცა თუ არა კომპოზიციას განსხვავებული მუხტი? ისაუბრეთ, როგორ შეიცვალა ემოციური მუხტი;
- რა როლს თამაშობს მუსიკალური თანხლება? ეხამება თუ არა თანამედროვე რიტმები ხალხურ ინტონაციებს?
- მოსმენილთაგან, რომელ კომპოზიციაში არაა გამოყენებული ხალხური თემატიკა?
- როგორ დაახასიათებთ თანამედროვე ქართულ პოპმუსიკას?
- თქვენი აზრით, რატომ განსხვავდება ერთმანეთისგან სხვადასხვა ათწლეულის პოპმუსიკა?

გადახაზეთ ცხრილი რვეულში და ჩამოწერეთ ეს მახასიათებლები:

	მახასიათებლები
მე-20 ს-ის 50-70-იანი წლების ქართული პოპმუსიკა	
თანამედროვე ქართული პოპმუსიკა	
მახასიათებლები, რომლითაც განსხვავდება სხვადასხვა ათწლეულის ქართული პოპმუსიკა	

მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია და მოამზადეთ პროექტი: „თანამედროვე ქართული პოპმუსიკა“; თან დაურთეთ აუდიო და ვიდეომასალა.

თავი III

მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში

თემა: მარტოობა და ერთობა მუსიკაში

ამ თავში შეისწავლი:

- რა მუსიკალურ-გამომსახველობითი ხერხებით აისახება მარტოობა მუსიკაში.
- რა მუსიკალურ-გამომსახველობითი ხერხებით აისახება ერთობა მუსიკაში.
- როგორ ამოვიცნოთ მუსიკაში მარტოობის ნაირსახეობებით გამოწვეული განცდა.
- კომპოზიციების შექმნას ისტ-ის გამოყენებით



გაკვეთილი 46–48

მარტოობის ფორმები და მუსიკის გამომსახველობითი ხერხები

1 მარტოობის განცდა თითქმის ყველა ჩვენგანისთვის ნაცნობია. ხშირად ვცდილობთ, გავექცეთ მას, ზოგჯერ კი, პირიქით – მარტო დარჩენა გვსურს. ხშირ შემთხვევაში კიდევაც ვცდილობთ დავძლიოთ მარტოობის განცდა, მაგრამ ვერ ვახერხებთ. დავდივართ კაფეებში, ბარებში, სადაც უმეტესად სულ ხმამაღალი მუსიკა ჟღერს, რისთვის ვიქცევით ასე? იქნებ იმიტომ, რომ სინამდვილეში ჩვენ გვინდა მუსიკის მოსმენითა და ადამიანებთან, მეგობრებთან ურთიერთობით გადავფაროთ ჩვენში დაბუდებული მარტოობის განცდა.

ადამიანთა უმეტეს ნაწილს მარტოობა მარტოსულობა, საზოგადოებიდან განდგომა და „კარჩაკეტილობა“ ჰგონია. უნდა გავიაზროთ და ყურადღება მივაქციოთ, რომ მარტოობის კულტურა გულისხმობს საკუთარ თავში იდეების, ოცნებების, მიზნების, ახალი ურთიერთობებისა და ყოველგვარი სიახლის ჩამოყალიბებას. ადამიანს ხანდახან საკუთარ თავთან მარტო დარჩენა სჭირდება, რათა ფიქრი დაბადოს, შემდგომ ამ ფიქრით ოცნება ჩამოაყალიბოს, რაც სამომავლოდ მისი წარმატების პირველ საფეხურად იქცევა.

კლასში ისაუბრეთ, ნაცნობია თუ არა თქვენთვის მომდევნო გვერდზე ჩამოთვლილი მარტოობის სახეობებიდან რომელიმე; დადებითი პასუხის შემთხვევაში დაასახელეთ, რას აკეთებთ ამ დროს; აარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხი:

- მუსიკას ვუსმენ
- სპორტით ვკავდები
- წიგნს ვკითხულობ
- ტელევიზორს ვუყურებ
- ვცეკვავ
- არ მაწუხებს ეს გრძნობა
- მეგობრებთან მივდივარ
- არაფერს არ ვაკეთებ

წარმოგიდგენთ ფსიქოლოგების მიერ აღწერილ მარტოობის რამდენიმე სახეობას:

კულტურული სიმარტოვე:
ადამიანი მოწყვეტილია თავის ქვეყანას, ოჯახს, მეგობრებს და სხვა კულტურულ გარემოშია, რომელიც მისთვის უცხოა. ის თავს გარიყულად და არაკომფორტულად გრძნობს; მას ენატრება თავისი ჩვეული გარემო.

ეგზისტენციალური* სიმარტოვე:
ადამიანი გრძნობს ყოფიერების არასრულყოფილებას. მას აშინებს მოსალოდნელი ბუნებრივი ცვლილებები (სიბერე, სისუსტე, ავადმყოფობა, ცხოვრების სასრულობა).

აუცილებელი სიმარტოვე:
სიმარტოვე, რომელიც ადამიანის მოთხოვნილებაა, როდესაც მას სურს მარტო დარჩეს საკუთარ გრძნობებთან, დაისვენოს აქტიური ცხოვრებისგან, ისიამოვნოს კონკრეტული წუთებით, დაალაგოს საკუთარი აზრები.

ფსიქოლოგიური სიმარტოვე:
ადამიანს არა აქვს კონტაქტი სხვა ადამიანებთან ან აქვს, მაგრამ არაახლობლური; თავს ზედმეტად, არასაჭიროდ და გარიყულად მიიჩნევს; თვლის, რომ მისი არ ესმით და არ აფასებენ.

ფსიქოლოგები მარტოობის მრავალ სახეობას აღწერენ, კომპოზიტორები კი მარტოობის სხვადასხვა ფორმით გამოწვეულ განცდებს მუსიკით გამოხატავენ.

რა მუსიკალურ-გამომსახველობითი ხერხებითაა შესაძლებელი მარტოობის თემის გადმოცემა, ამას მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებებიდან განსაზღვრავთ.

შეეცადეთ თითოეულ მუსიკალური ფრაგმენტს მიუსადაგოთ მარტოობის სახეობების რომელიმე აღწერილობა.

მოისმინეთ ფრაგმენტები ოთხი მუსიკალური ნაწარმოებიდან. დაახასიათეთ თითოეული მათგანი იმის მიხედვით, რა განწყობა დაგიტოვათ. რომელ ნომრად მოსმენილი მუსიკა გამოხატავს ყველაზე მეტად თქვენს ამჟამინდელ სულიერ მდგომარეობას?

გადაიტანეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ; „მარტოობის სახეობის“ უჯრებში ჩაწერეთ ზემოთ ჩამოთვლი მახასიათებელთაგან მხოლოდ ერთ-ერთი სახეობა.

მუსიკის აღწერილობა	მარტოობის სახეობა	მუსიკალური ფრაგმენტის №

* **ეგზისტენციალიზმი** – ფილოსოფიური და ლიტერატურული მიმდინარეობა; მდგომარეობა, როდესაც ადამიანი კარგავს ორიენტირების უნარს სამყაროში, სადაც ყველაფერი უაზრო და აბსურდულია.

გაკვეთილი 49-51

მუსიკაში ერთიანობის გამომხატველი გამომსახველობითი ხერხები

ადამიანს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი და რა დროშიც არ უნდა ცხოვრობდეს, ყველგან და ყოველთვის სხვადასხვა ეროვნების, მრწამსის, აზროვნების, პროფესიის ადამიანების გარემოში უწევს თანაარსებობა. ყველას თავისი ინტერესი და შეხედ-ულებები აქვს და ამის გამო ადამიანები თითქოს ერთმანეთისგან გამიჯნულები არიან, მაგრამ არის მომენტები, გლობალური მოვლენები, როცა ყველა ერთიანდება. როგორ ფიქრობთ, რისთვის ერთიანდებიან ადამიანები? ყოველთვის არის კი ეს გაერთიანება კარგი? კეთილშობილური საქმისთვის ხალხთა გაერთიანება უდიდეს როლს ასრულებს კაცობრიობის ისტორიაში.

- აღწერეთ თითოეული ფოტო – თქვენი აზრით, რამ გააერთიანა ეს ხალხი?
- დაფიქრდით, რომელი სიტუაციისთვის როგორ მუსიკას შეარჩევდით?
- თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს მუსიკა, რომელიც ადამიანებს ერთიანობისკენ მოუწოდებს?

4

როგორც უკვე ვთქვით, კომპოზიტორები ადამიანების გაერთიანების მიზნით მუსიკალური ენის სხვადასხვა გამომსახველობით ელემენტს იყენებენ, რაც განსაზღვრავს კიდეც ნაწარმოების ჟანრს. ხშირ შემთხვევაში, როდესაც კომპოზიტორი მელოდიაზე აკეთებს აქცენტს, იგი ირჩევს ისეთ ჟანრს, როგორიცაა **ჰიმნი.**

ჰიმნი, უპირველეს ყოვლისა, სადღესასწაულო ცერემონიალებისთვის შექმნილი მუსიკაა, აგრეთვე – ღმერთის, სამშობლოს, თავისუფლების, გმირების სადიდებელი სიმღერა. როგორც წესი, ჰიმნს ასრულებს ადამიანთა ჯგუფი ან დიდი გუნდი. თუმცა ხანდახან ჰიმნს ერთი ადამიანიც ასრულებს.

ჰიმნი გამოირჩევა გაშლილი, საზეიმო მელოდიით. ის მშვიდ, აუჩქარებელ ტემპში სრულდება, რაც მელოდიას კიდევ უფრო სადღესასწაულო ხასიათს აძლევს. ამავე დროს, ეს ტემპი ხაზს უსვამს იმ მოვლენის მნიშვნელობას, რომელსაც ეს ჰიმნი ეძღვნება. ჰიმნს არ ახასიათებს სევდიანი ან, მით უმეტეს, ტრაგიკული ინტონაციები.

როგორ ფიქრობთ, ნაწარმოების ხასიათით შესძლებთ ჰიმნის ამოცნობას?

მოისმინეთ ჰიმნების ინსტრუმენტული ვერსიები. ჩამოწერეთ ფრაგმენტების ნომრები და მიუწერეთ „+“ ნიშანი მათ, რომელშიც, თქვენი აზრით, ჰიმნი გაჟღერდა, ხოლო „–“ ნიშანი მიუწერეთ სხვა ჟანრის ნაწარმოებს.

1) იოზეფ ჰაიდნი; ☐
2) უილიამ ჰენრი მონკი; ☐
3) დიმიტრი შოსტაკოვიჩი; ☐
4) ედუარდ ელგარ ნიმროდი; ☐
5) ალბერიკ ზვიზიგი; ☐
6) ჰეტ ვილჰელმუსი ☐

- თქვენი აზრით, რომელი კომპოზიტორის ნაწარმოები იყო სადღესასწაულო?
- რომელი კომპოზიტორის ნაწარმოები ჰგავს ყველაზე ნაკლებად ჰიმნს? ახსენით თქვენი პასუხი;
- რომელი კომპოზიტორის ნაწარმოები მოგეჩვენათ ტრაგიკულად?
- როგორ ფიქრობთ, რომელი კომპოზიტორის ნაწარმოები ჰგავს საეკლესიო ჰიმნს? განმარტეთ, რატომ ფიქრობთ ასე;
- რა აქვს საერთო იმ ნაწარმოებებს, რომლებიც თქვენ ჰიმნად ამოიცანით?
- რომელი ჰიმნი მოგაგონებთ ცეკვას?

5 უთუოდ გსმენიათ, რომ არმიაში არსებობს ჯარისკაცების მოსახმობი სხვადასხვა სიგნალი, რომელიც საყვირით სრულდება. მოუსმინეთ რამდენიმე სიგნალს და წაიკითხეთ მათი მნიშვნელობა.

ა სალამი

ბ ადგომა

გ ფოსტა მოვიდა

დ განგაში

ე დაშლა

სასიგნალო საყვირი

ამოიცანით, რა საკრავებზე უკრავენ სამხედრო ორკესტრის მუსიკოსები.

სიგნალი არ არის მუსიკალური ნაწარმოები, მაგრამ მას აქვს მუსიკალური ინტონაცია; და, როგორც ვიცით, ნებისმიერ მუსიკალურ ინტონაციას აქვს გარკვეული გამომსახველობა. სულის სიმტკიცე, ენერგია, ვაჟკაცური შემართება – ეს ყველაფერი ადვილად ამოსაცნობია სასიგნალო ინტონაციებში. მის გარეშე შეუძლებელია სამხედრო მუსიკის წარმოდგენა.

მოისმინეთ სხვადასხვა მოსახმობი სიგნალი და უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი სიგნალი იყო ყველაზე მოკლე?
- რომელი სიგნალი იყო ყველაზე გრძელი?
- რომელი სიგნალის მოტივები იყო დალაგებული შემდეგი სქემის მიხედვით: a-b-a-c?
- რომელი სიგნალის მოტივები იყო დალაგებული ასე: a-a-b?

შეეცადეთ ამოიცნოთ, რომელი სიგნალია. ჩასვით ✓ სიგნალის შესაბამისი ნომრის სვეტში:

	1	2	3	4	5
„სალამი“					
„ადგომა“					
„ფოსტა მოვიდა“					
„განგაში“					
„დაშლა“					

6 ყველა ზემოთ ხსენებული სამხედრო სიგნალი სამ ინტერვალზეა აგებული, მაგრამ ყველაზე ხშირად ისმის ინტერვალი ~~კვარტა.~~ მისი სანოტო ჩანაწერი ასე გამოიყურება:



ზემოთ მოცემული სანოტო ჩანაწერებიდან, რომელია ჰარმონიული და რომელი – მელოდიური ინტერვალი?

წმინდა კვარტაში მანძილი ფუძესა და მწვერვალს შორის 2,5 ტონია.

სწორედ ეს ინტერვალი სძენს ინტონაციას შემართებით ხასიათს. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ სამ სიგნალს: „ადგომა“, „ფოსტა მოვიდა“ და „განგაში“. ყველა მათგანში ჟღერს კვარტა, მაგრამ მხოლოდ ერთში ჟღერს როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი კვარტა. გამოიცანით – რომელში. დაასახელეთ სიგნალი.

- კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ყველა სიგნალს და დაადგინეთ, გარდა სიგნალისა – „ადგომა“, კიდევ რომელ სიგნალში ჟღერს აღმავალი და დაღმავალი კვარტა;
- რომელი სიგნალი ჰგავს მარშს?
- რომელი სიგნალი სრულდება ყველაზე სწრაფ ტემპში?
- რომელ სიგნალში არის მხოლოდ ერთი მოტივი?
- რომელი სიგნალის სანოტო ჩანაწერია?